ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 5 ნოემბერი 1993 № 22 (69) ფასი 750 კუპონი


2 16 წლის დებიუტანტი

ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი

3 გოჩა ტყებუჩავა:

ფინეთში საქართველო მენატრება

## დოლარები ჯოჯოხეთის ანათემზს

ერთ კვირაში ავსტრალიაში დაიწყება ძალოსანთა მსოფლიო პირველობა. „სარბიელის“ მკითხველებმა იციან, რუსები და პოლონელები დოპინგის მილებაში რომ ამხილეს და იქ მონაწილეობა აუკრძალეს, მაგრამ მერე ისე მოხდა, რომ რუსეთმა ჯარიმად 50 ათასი დოლარი გადაიხადა და უფლება მიიღო, ათლეტები ექვს წონაში გამოიყვანოს, პოლონელებმა კი ამდენი ფული ვერ გაიმეტეს.

## რა ხდება საფეხბურთო ევროპაში ?

იხილეთ მე-4 გვერდი

## შორია გურჯისტანამდე

ლუქსემბურგი საქართველოდან შორს რომ იყო, აქამდეც კარგად ვუწყოდით, მაგრამ ასე თუ გაუჭირდებოდათ ლუქსემბურგს ფირა-ს პირველობის მატჩის სათამაშოდ წასული ჩვენი მორაგბეთა ნაკრების თანმხლებ პირებს სამშობლომდე ხმის მოწვდენა, არ გვეგონა. გუშინ სარაგბო თემში ვილაც ოხუნჯმა ხმა დაარხია, ჩვენებმა ოდენ 20:6 მოიგესო. ჩვენც ფაქტს ჩავეძიეთ, კვალს მივყევით და ისლა დავადგინეთ, რომ ყველაფერი ჭორი ყოფილა.

მოკლედ, „სარბიელი“ რომ გამოვა, ჩვენი ნაკრები თვითმფრინავის მოლოდინში კვლავაც ფრანკფურტში იყურყუტებს.

ასე რომ, საქართველოს სადებიუტო თამაშის ანგარიშს შემდეგ „სარბიელშიღა“ თუ გაცნობებთ, ისიც ცხრა დღის დაგვიანებით. სადღეისოდ კი მკითხველმა მეშვიდე გვერდზე ფირა-ს წარდგენა უნდა იკმაროს.



## საკალათბურთო შოუ გრძელდება

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატში მეორე ჯგუფის გუნდებიც ჩაებნენ. ჯგუფში სამი ფავორიტია: „თბილისი“, „თორსი“ და „დინამო“. მასალები გუშინ გამართული შეხვედრების შესახებ იხილეთ მე-5 გვერდზე.



ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩში სე ცზიუნსა და ნანა იოსელიანს შორის 2 ნოემბერს მე-5 პარტია გათამაშდა. ორთაბრძოლას კვლავ ჩინელი დიდოსტატი ლიდერობს ამჯერად ანგარიშით 4,5:0,5. მე-6 პარტია დღეს, 5 ნოემბერს გაიმართება.

ის, რომ ნანა იოსელიანი წარუმატებლად იწყებს შეჯიბრებას, საქვეყნოდაა ცნობილი. საკმარისია გავიხსენოთ უახლოესი მაგალითი: მატჩი ჟუჟა პოლგართან (მონტე-კარლო, 1993 წლის თებერვალი), რომლის სტარტზე ნანამ პირველი ორი პარტია წააგო. მაგრამ სე ცზიუნთან მატჩის „უვერტიურამ“ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. ხუთი შეხვედრიდან ნანამ მხოლოდ ერთი (მესამე პარტია) დაამთავრა ყაიმით, დანარჩენი წააგო.

რა ხდება, როგორ ავხსნათ ეს? ალბათ პასუხი უნდა ვეძებოთ გათამაშებულ პარტიებში. მოგახსენებთ ჩემს სუბიექტურ აზრს და დასკვნებს.

ჯერჯერობით მეტოქეები ერთსა და იმავე დებიუტებს (ძველინდურ და სიცილიურ დაცვებს) მიმართავენ. ჩანს, ნანა საგანგებოდ მოემზადა თეთრებით ძველინდური დაცვის წინააღმდეგ (მას ხშირად მიმართავს შავებით სე ცზიუნი), ხოლო თავად შავებით სიცილიური დაცვა მოამზადა (ჩინელი დიდოსტატი მუდამ იწყებს თამაშს მეფის პაიკით). ძველინდური დაცვის ნანას ინტერპრეტაციაში იგრძნობა, რომ მან ვერ მოასწრო ამ ურთულესი დებიუტის სრული გათავისება, ამიტომ უზუსტოდ თამაშობს მას. ასე იყო პირველ და მეხუთე პარტიებში. ნანა უკეთესად იცნობს სიცილიურ დაცვას, მისთვის ადრეც ხშირად მიუმართავს. მეოთხე პარტიაში მან სიახლეც გამოიყენა, პერსპექტიული პოზიციაც მიიღო, მაგრამ... ვფიქრობ, ამჟამად ნანა შეპყრობილია სურვილით, რაც შეიძლება სწრაფად, უმალ აღადგინოს თანაფარდობა მატჩის ანგარიშში. ეს წადილი სადღაც უკარგავს ობიექტურობას პოზიციის შეფასებაში, ზედმეტად ფიქრობს თითოეულ სვლაზე, რასაც უკვე ორჯერ უმძიმესი ცაიტნოტი მოჰყვა და დროის გადაცილებაც კი. ცხადია, რომ ყოველთვის ვერ მიიღებ უპირატესობას, ამიტომ ზოგჯერ ყაიმსაც უნდა შეურიგდე.

ნანამ უნდა დააჯეროს საკუთარი თავი, რომ მატჩი ახლა იწყება და იგი მხოლოდ 11 პარტიისგან შედგება. ფსიქოლოგიურად გონივრული იქნება, რომ ყაიმით დაასრულოს პირველი ორი პარტია, რაც თავის შესაძლებლობების რწმენას შეუქმნის. იგი ალბათ საკმაოდაა შერყეული პირველ ხუთ პარტიაში. ერთი სიტყვით, ნანა უნდა მოერიოს საკუთარ თავს, აღიდგინოს სულიერი განწყობილება, იქნებ საჭიროა, სადებიუტო რეპერტუარიც შეცვალოს.

მინდა დავიჯერო, რომ ნანას აღმოაჩნდება იმდენი სულიერი ძალა, რაც ყოველთვის ჰქონდა, რომ თავის სასარგებლოდ შემოაბრუნოს მატჩის ბედი.

თენგიზ გიორგაძე,
საერთაშორისო არბიტრი

## დარჩა გოლგოთის გზა

მეხუთე პარტია
იოსელიანი — სე ცზიუნი
ძველინდური დაცვა

1. d4 მ f6 2. c4 g6 3. მ c3 კ g7 4. e4 d6 5. კ e2 0-0 6. მ f3 e5 7. 8 0-0 მ c6 8. d5 მ e7 9. მ d2 a5 10. a3 კ d7 11. ე b1 a4 12. b4 ab 13. მ: b3 b6 14. ე a1 მ e8 15. კ e3 f5 16. f3 მფ h8 17. a4 c5 18. ე a2 მ f6 19. ლ a1 f4 20. კ f2 g5 21. მ b5 კ: b5 22. cb g4 23. a5 g3 24. hg მ h5 25. ab ე: a2 26. ლ: a2 fg 27. b7 მ g6 28. კ c4 ლ h4 29. ე a1 gf+ 30. ლ: f2 მ g3 31. ლ e1 ლ h1+ 32. მფ f2 ლ h4 33. მფ g1 მ f4 34. კ f1 კ h6 35. ე a8 ლ h1+ 36. მფ f2 მ h3+ 37. მფ g3 კ f4+ 38. მფ g4 h5+ თეთრებმა დროს გადააცილეს.

## კარპოვი ჩემპიონია

ანატოლი კარპოვმა 21-ე პარტიაში, შავი ფიგურებით იან ტიმანთან ყაიმს მიაღწია და ფიდე-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მატჩის საბოლოო ანგარიშია 12,5:8,5. მას ასე, მსოფლიოს ორი ჩემპიონი ჰყავს, პროფესიულ მოჭადრაკეთა ასოციაციას — გარი კასპაროვი და ფიდე-ს ანატოლი კარპოვი.

# კვიმატი ტური

„დინამო“ — „კახეთის“ მატჩი იმით გამოირჩეოდა, რომ ფეხბურთელები დადიოდნენ მინდორზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და მიუხედავად ამისა 70 გოლი მაინც გავიდა. თელაველებს აშკარად ეტყობოდათ კვარაცხელიას, ალავიძის და სანადირაძის (მატჩის მეხუთე წუთზე მძიმე ტრავმა მიილო) არყოფნა. „კახეთმა“ მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწია წინააღმდეგობა „დინამოს“, მეორე ტაიმი ცალკარა იყო.


დავით ჯანელიძე

ალსანიშნავია 16 წლის ალექსანდრე იაშვილის დებიუტი, რომელიც მან გოლით აღნიშნა. დებიუტანტმა მეორე გოლიც გაიტანა, მაგრამ მსაჯმა რატომღაც არ ჩათვალა. კიდევ ერთი მომენტია გამოსაყოფი: არ ვიცით, თელაველ დათო მაღრაძეს წარსულში რა დაუშავა მატჩის არბიტრმა მურად ჯულაყიძემ, მაგრამ ფაქტი ის იყო, რომ მაღრაძის რამდენიმეჯერ ძლიერად დარტყმული ბურთი უკნიდან მოხვდა ჯულაყიძეს, რომელსაც მოსწყინდა თელაველის ოხუნჯობა და ბოლოსდაბოლოს „ყვითელი“ აუნთო.

„მრეტებმა“ ზედიზედ მესამე თამაში დათმო ერთიდაიმავე ანგარიშით 1:3 (აქედან ორი ზედიზედ „ივერიასთან“). სამივე მატჩში „მრეტებიდან“ ტყავაძემ გაიტანა გოლი, რომელსაც უკვე მეექვსე ტურია თითო-თითო გოლი გააქვს. რეკორდისთვის კიდევ სამი გოლიანი მატჩია საჭირო. „მრეტების“ მეკარეს დათო ჯანელიძეს მატჩამდე ორი დღით ადრე ქორწილი ჰქონდა და ალბათ ახალშერთულ მეუღლეს „საქმენი საგმირონია“ დაჰპირდა, მაგრამ გურჯაანელებმა — ყიზილაშვილმა და თაბუკაშვილმა სიძეს სიტყვა გაატეხინეს.

ალსანიშნავია „ერქვანის“ „მკვდრეთით აღდგომა“. შეწყალების შემდეგაც გუნდი ერთადერთი (!) ბურთით ვარჯიშობდა და თამაშისთვის ემზადებოდა, მაგრამ მაინც მოიგო მატჩი. შუა საუკუნეები რომ იყოს, „ერქვანის“ მთავარ მწვრთნელს „მრეტების“ მეკარის მოგვარეს ჯონი ჯანელიძეს ალბათ ჯადოქრობისთვის კოცონზე დაწვა არ ასცდებოდა, მაგრამ ვინაიდან იგი მეოცე საუკუნეში დაიბადა, გურჯაანელმა გულშემატკივარმა მას დიდი მადლობა უნდა გადაუხადოს.

„მრეტებისთვის“ დამახასიათებელი ანგარიშით მორჩა მატჩი ჭიათურაშიც. მატჩი გვიან დაიწყო, რადგან... სტუმრები ელოდებოდნენ... მასპინძლებს. „მაღაროელი“ არა და არ ჩანდა. ბოლოსდაბოლოს ჭიათურელები ოცი წუთის დაგვიანებით გამოვიდნენ და დათმეს კიდეც მატჩი. შევარდნელთაგან თავი გამოიჩინა ფანცულაიამ (ორი გოლი გაიტანა) და ახალგაზრდა მცველმა ტარყაშვილმა, რომელმაც თავდასხმაში ითამაშა და საკმაოდ აგრესიულადაც. იმედია იგი უკრაინელ და ებრაელ თანატოლებსაც ასევე შეუტევს, ისევე როგორც ჯიქია, რომელზეც ისე კარგად იმოქმედა წინა ნომერში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, რომ გოლიც გაიტანა (მისთვის პირველი პირველ ჯგუფში).

მამუკა კვარაცხელია
ელდარ მალხაზიშვილის
ფოტოები

ალექსანდრე იაშვილი თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტია. „ფეხბურთის მეფის“, პელეს დაბადების დღეს იგი თექვსმეტი წლის გახდა, ხოლო ათ დღეში უკვე პირველი ოფიციალური მატჩიც ითამაშა „დინამოში“ „კახეთთან“ და გოლიც შეაგდო. მანამდე თექვსმეტი წლის ასაკში „დინამოში“ ნათამაშევი ჰქონდა მხოლოდ გიორგი სიჭინავას (1960).

იაშვილი მეორე ტაიმში გამოვიდა მინდორზე და პირდაპირ მეტოქის კარისკენ დაადო თავი, თან ისე იქცეოდა, თითქოს არანაკლებ ხუთი წელი აქვს ნათამაშევი ამ გუნდში და ამ სტადიონზეო — ერთიმეორის მიყოლებით ატყუებდა მცველებს.

იმედია, იაშვილი იღბლიან დებიუტანტად არ დარჩება და ასაკის მომატებასთან ერთად ოსტატობასაც მოუმატებს და გოლების გატანასაც არ დაივიწყებს.

## 16 წლის დებიუტანტი



**ალექსანდრე იაშვილი**
დაიბადა 1977 წლის 23 ოქტომბერს.
ფეხბურთის თამაში დაიწყო „ნორჩ დინამოელში“ საშა ვაშაკიძესთან და გოჩა გელაძესთან
დებიუტი დინამოში — 1993 წლის 2 ნოემბერს („კახეთთან“ — 8:2. ერთი გოლის ავტორი)
არის საქართველოს ახალგაზრდული (16 წლამდე) ნაკრების კაპიტანი

# კიდევ ერთი შეპეტოვკელი ქართველი

**სასტუმრო „ივერიასთან“ მდებარე საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურში ნაცნობის ძებნისას მოულოდნელად ოჩამჩირის „ამირანის“ თავდამსხმელი გელა გაბისონია აღმოვაჩინე. როგორც გაირკვა, სულზე მივუსწარი, რადგან გელა მეორე დილას უკრაინაში მიფრინავდა.**


გელა გაბისონია

— ახლახანს ველაპარაკე შეპეტოვკის „ტემპის“ პრეზიდენტს ჯუმბერ ნიშნიანიძეს, რომელმაც მთხოვა დაუყოვნებლივ ჩავსულიყავი მასთან, დამპირდა გუნდში ადგილს და სამწლიან კონტრაქტს. იქ დამხვდებიან ძმები კაპანაძეები, გაბისკირია, ჩიხრაძე, ბათუმელი ბრუნჯაძე, მინსკელი გომონოვი, რომელიც ადრე „ამირანში“ გამოდიოდა და მინსკის „დინამოს“ ოთხმოციანი წლების ფორვარდი გიორგი კონდრატიევი. ადიკ დურსუნიშიც ჩემთან ერთად გამოემგზავრება შეპეტოვკას. იანვარში „ტემპი“ იტალიას მიემგზავრება: პარმაში ან ლეჩეში გაივლის წინასასეზონო მომზადებას.

**— თანაგუნდელების ხომ არაფერი იცი?**

— მეკარე მიქაია ჭიათურაშია, ნიკა კაკუბავა — ქობულეთში, როსტობაია ბორჯომში, გუჩუა — წყალტუბოში, ჯოჯუა მე თვითონ გამოვიყვანე სამშვიდობოს, გოგიტაძე — ლანჩხუთშია, აზვლედიანი — მოსკოვში, მწვრთნელი ბონდო კაკუბავა — ზუგდიდში. დანარჩენი თანაგუნდელებიც სამეგრელოს სხვადასხვა რაიონებში არიან მიმოფანტულნი.

**— ოჩამჩირიდან როდის გამოხვედი?**

— სოხუმი დაეცა თუ არა, ოჩამჩირეში პანიკა ატყდა, სამ დღეში უბრძოლველად დაიკავეს ოჩამჩირეც. მე ოჯახი ზუგდიდისაკენ წამოვიყვანე. მთელმა ოჩამჩირემ იცის, რომ სამეგრელოს შეიარაღებულმა ძალებმა არაფერი იღონეს აფხაზეთის დასაცავად.

**— აბა ბედნიერ მგზავრობას გისურვებ. მოგვიკითხე შეპეტკოველი ქართველები, იქნებ ახლა მაინც გაგიღიმოს ბედმა და ცხოვრება აიწყო...**

— რა ვქნა, გული არ მიმიწევს საქართველოდან, მაგრამ მეტი საშველი არ არის. რით ვარჩინო ოჯახი, როცა ამ ფეხების გარდა აღარაფერი მაბადია. ჩემმა ფეხებმა უნდა მაჭამონ პური, შვიდიოდ წელიწადიდა დამრჩა ფეხბურთში და თუ არ გამოვიყენე, მერე რა პირით შევხედო თვალებში ჩემს ბავშვს, რომელსაც არც სახლი აქვს, არც ტანსაცმელი და ჯერჯერობით არც ნათელი მომავალი. მოკლედ, უკრაინაში ბედის საძებნელად მივდივარ. ჩასვლისთანავე დაგვიკავშირდით და წვრილად მოგიყვებით ჩემი და ქართველი ბიჭების ამბავს შეპეტოვკაში...

მამუკა კვარაცხელია

პირველი ჯგუფი. V ტური

**ივერია 3**
**მრეტები 1**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 30 ოქტომბერი.

ივერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ტყემალაძე, სამხარაძე, ხარაზიშვილი (ბ. ჩადუნელი, 46), მაქაცარია, რობაქიძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი (ლაცაბიძე, 70), ბაკურაძე.
მრეტები: ჯანელიძე, ჯულელი, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი, ქვარცხავა, იაგორაშვილი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული.

1:0 ქობელაშვილი (61)
2:0 მარლიშვილი (67)
3:0 მაქაცარია (72)
3:1 ტყავაძე (75)

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

VI ტური

**დინამო 8**
**კახეთი 2**

თბილისი. ეროვნული სტადიონი. 2 ნოემბერი.

დინამო: ზოიძე, ბერაძე, ჩიქოვანი, ლობჟანიძე, რევიშვილი, ყაველაშვილი, ინალიშვილი, ჯამარაული (იაშვილი, 46), რ.არველაძე (სოლოღაშვილი, 60), ქინქლაძე, ანჩაბაძე.
კახეთი: გრიშიკაშვილი, ჭაჭუა, ნაკუდაიძე, სანადირაძე (მაღრაძე, 10), წიქარიშვილი, სეფაშვილი, ა.ხორხელი, ტოგონიძე, კალუჟა, ბაბულაიძე, შონია.

1:0 ჯამარაული (23)
1:1 შონია (33)
2:1 ჯამარაული (43)
3:1 რ.არველაძე (49 პ)
4:1 ინალიშვილი (50)
5:1 რ. არველაძე (60)
6:1 ანჩაბაძე (65)
7:1 იაშვილი (69)
7:2 სეფაშვილი (72 პ)
8:2 ქინქლაძე (77)

გაფრთხილება: მაღრაძე
მსაჯი: მ. ჯულაყიძე (სამტრედია)

XI ტური

**დილა 2**
**მეტალურგი 1**

გორი. ცენტრალური სტადიონი. 2 ნოემბერი.

დილა: ვოლკოვი, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (წკრიალაშვილი, 77), გაგნიძე, თარხნიშვილი, ციცქიშვილი, მარეხაშვილი, მიქელაძე, ტაბატაძე, ხორგუაშვილი, მინდიაშვილი (რევაზიშვილი, 79).
მეტალურგი: ქორიძე, დიმიტრიშვილი, ბურნაძე, არჩვაძე, გაბელია, კ.მეტრეველი (მაჭავარიანი, 46), ამბიძე, გ.კილასონია, კობიაშვილი, თვალაბეიშვილი (მელაძე, 68), ალადაშვილი.

1:0 ხორგუაშვილი (50)
2:0 მინდიაშვილი (60)
2:1 მელაძე (87)

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

**ივერია 2**
**მარგვეთი 1**

ხაშური. ცენტრალური სტადიონი. 2 ნოემბერი.

ივერია: ტოგონიძე, ჯიკაევი, მჭედლიშვილი, ბ. ჩადუნელი, სამხარაძე, ხარაზიშვილი, მაქაცარია, ტყემალაძე, მარლიშვილი, ქობელაშვილი, რობაქიძე (ბაკურაძე, 46).
მარგვეთი: ბაბუაძე, მანაგაძე, გურიელიძე, გოგატაძე, ლონლაძე, ჩიხლაძე, გაბრიჭიძე, ხუნდაძე, მეგრელაძე, ლანჩავა, შენგელია.

1:0 ქობელაშვილი (6)
2:0 ქობელაშვილი (85 პ)
2:1 მეგრელაძე (90)

მსაჯი: გ.ტაბატაძე (თბილისი)

**მრეტები 1**
**ერქვანი 3**

მცხეთა. ცენტრალური სტადიონი. 2 ნოემბერი.

მრეტები: ჯანელიძე, ამბიძე, ქორიძე, ძაბირაძე, მოსულიშვილი, ქვარცხავა, ჯულელი, გელაძე, ჩუხუა, ტყავაძე, ბურდული.
ერქვანი: ნარეკლიშვილი, შალამბერიძე, გაგნიძე, დოლიძე, ლაცაბიძე, ფოფხაძე, ინიაშვილი, თაბუკაშვილი, პაპიძე (მეტრეველი, 55), კიკნაძე (ყიფიანი, 84), ყიზილაშვილი.

0:1 ყიზილაშვილი (25)
1:1 ტყავაძე (41)
1:2 თაბუკაშვილი (55)
1:3 თაბუკაშვილი (83)

გაფრთხილება: დოლიძე, ფოფხაძე
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

**მაღაროელი 1**
**შევარდენი 1906 3**

ჭიათურა. ცენტრალური სტადიონი. 2 ნოემბერი.

მაღაროელი: გველესიანი, იობაშვილი (შეყლაშვილი, 70), ლურსმანაშვილი, რუხაძე, აბრამიშვილი, ბრეგვაძე, ბუიშვილი (ბურძენიძე, 46), კავთელაძე, წიკლაური, მწყერაშვილი.
შევარდენი 1906: ნაჭყებია, ელიაშვილი, კვიტატიანი, მელქაძე, ტარტარაშვილი, ნადირაძე, ბაკურაძე, ჯიქია, ბუკია, ფანცულაია, ტარყაშვილი.

0:1 ფანცულაია (13)
0:2 ფანცულაია (43)
0:3 ჯიქია (54)
1:3 რუხაძე (72 პ)

მსაჯი: რ. გარნოვსკი სამტრედია)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 11 | 11 | 0 | 0 | 50-12 | 33 |
| ივერია | 13 | 7 | 4 | 2 | 21-12 | 25 |
| მაღაროელი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-20 | 21 |
| შევარდენი | 11 | 6 | 1 | 4 | 21-18 | 19 |
| მარგვეთი | 12 | 5 | 3 | 4 | 25-20 | 18 |
| საპოვნელა | 12 | 5 | 2 | 5 | 19-12 | 17 |
| კახეთი | 12 | 4 | 2 | 6 | 21-27 | 14 |
| დილა | 12 | 4 | 2 | 6 | 12-18 | 14 |
| ერქვანი | 10 | 3 | 4 | 3 | 16-19 | 13 |
| მრეტები | 13 | 2 | 1 | 10 | 11-37 | 7 |
| მეტალურგი | 13 | 2 | 0 | 11 | 15-38 | 6 |

მეორე ჯგუფი. 3.11.

არმაზი-90 — რკონი 6:1
დურუჯი — არაგვი 4:0
ბახტრიონი — არმაზი 4:0
ქართლი — სიონი 0:2
მერანი ბაჩო — მესხეთი 1:2
ანცი — თორი 7:0
მერანი-91 — ნაფარეული 0:3
ერქვანი-ზოოვეტი — შირაქი 5:0
ჭაბუკიანი — თეთრი არწივი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანცი | 10 | 8 | 1 | 1 | 32-3 | 25 |
| თეთრი არწივი | 10 | 8 | 0 | 2 | 24-8 | 24 |
| დურუჯი | 10 | 7 | 1 | 2 | 25-10 | 22 |
| ნაფარეული | 10 | 7 | 1 | 2 | 19-9 | 22 |
| სიონი | 10 | 5 | 1 | 4 | 20-12 | 16 |
| ბახტრიონი | 10 | 5 | 0 | 5 | 17-17 | 15 |
| ჭაბუკიანი | 10 | 4 | 2 | 4 | 16-11 | 14 |
| მერანი-ბაჩო | 10 | 4 | 2 | 4 | 16-18 | 14 |
| მესხეთი | 10 | 4 | 2 | 4 | 11-16 | 14 |
| არაგვი | 10 | 4 | 1 | 5 | 10-17 | 13 |
| არმაზი 90 | 10 | 3 | 3 | 4 | 16-12 | 12 |
| ერქვანი-ზოოვ. | 10 | 3 | 3 | 4 | 13-16 | 12 |
| თორი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-17 | 12 |
| შირაქი | 10 | 3 | 2 | 5 | 6-22 | 11 |
| რკონი | 10 | 3 | 1 | 6 | 12-23 | 10 |
| არმაზი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-18 | 9 |
| ქართლი | 10 | 1 | 2 | 7 | 5-19 | 5 |
| მერანი-91 | 10 | 1 | 2 | 7 | 5-22 | 5 |

თბილისის ჩემპიონატი

გეიკო-ჩემპიონი — ივერია 3:6, მეტრო — რეფერი 7:5, ფიზკ. ინსტ. — თეთრი არწივი-2 0:2, ალგეთი — ფიზკ. ინსტ. 8:2, გეიკო-ჩემპიონი — ალგეთი 5:0

## სტატისტიკა. V, VI, XI ტურები

| | ალმ. | დას. | სულ | სეზონში |
|---|---|---|---|---|
| მატჩი | 6 | — | 6 | 102 |
| გოლი | 28 | — | 28 | 368 |
| საშუალო შედეგიანობა | 4,67 | — | 4,67 | 3,61 |
| მასპინძლები — სტუმრები: | | | | |
| ქულები | 12-6 | — | 12-6 | 205-82 |
| პროცენტულად | 67-33 | — | 67-33 | 71-29 |
| ბურთები | 17-11 | — | 17-11 | 239-129 |
| პროცენტულად | 61-39 | — | 61-39 | 65-35 |
| გაძევება | — | — | — | 2-7 |
| გაფრთხილება | 0-3 | — | 0-3 | 39-56 |
| პენალტი | 3-1 | — | 3-1 | 32-15 |
| გამოყენებულია | 3-1 | — | 3-1 | 29-11 |
| დიდი ანგარიში | 1 | — | 1 | 29 |
| „ჰეთ-თრიქი“ | — | — | — | 7 |
| ფეხბურთელთა რაოდენობა | 135 | — | 135 | 377 |
| დებიუტანტები | 2 | — | 2 | 89 |

მეასე მატჩი ითამაშა პირველ ჯგუფში დინამოელმა ბესიკ ბერაძემ.

ბომბარდირები:

| | | |
|---|---|---|
| მერაბ მეგრელაძე | „მარგვეთი“ | 15 |
| გივი ქობელაშვილი | „ივერია“ | 10 |
| გიორგი ქინქლაძე | „დინამო“ | 9 |
| კახა გოგოლაძე | „გურია“ | 8 |
| შოთა არველაძე | „დინამო“ | 8 |
| კარლო ჩინჩალაძე | „საპოვნელა“ | 8 |
| ოთარ კორღალიძე | „გურია“ | 7 |
| არჩილ არველაძე | „დინამო“ | 7 |
| პაატა მაჭუტაძე | „ბათუმი“ | 7 |
| რევაზ არველაძე | „დინამო“ | 7 |

ერთ მატჩში 2-2 გოლი გაიტანეს: ჯამარაულმა, რ. არველაძემ (ორივე — „დინამო“), ქობელაშვილმა („ივერია“), თაბუკაშვილმა („ერქვანი“), ფანცულაიამ („შევარდენი 1906“). წინა ნომერში ვწერდით, რომ მერაბ მეგრელაძემ დაამყარა რეკორდი: ზედიზედ 8 შეხვედრა ითამაშა შედეგიანად. ამჟამად ამ რეკორდის გაუმჯობესებას ორი ფეხბურთელი ცდილობს: ქობელაშვილი („ივერია“) და ტყავაძე („მრეტები“) — მათ ჯერჯერობით ზედიზედ 6-6 მატჩი ითამაშეს შედეგიანად.

რევაზ შენგელია

# გოჩა ტყებუჩავა: რომ იცოდეთ, როგორ მენატრებით

**საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს" თანამშრომელი ბესო კირვალიძე ერთი თვით ფინეთში იყო წასული. წასვლისას ბესომ მითხრა, რომ უეჭველად ნახავდა გოჩა ტყებუჩავას. მე მას გოჩასთან რამდენიმე კითხვა დავუწერე. ორიოდე დღის წინ ბესო თბილისს დაბრუნდა და გოჩას პასუხები და ფინური გაზეთების შეკვრა ჩამომიტანა...**

— ფინეთში კლუბის საქმეებთან ერთად პირადი საქმეებიც მქონდა. შევხვდი ფინეთში სიდიდით მეორე ქალაქ ნოკიას მერის მოადგილეს, მარკუ რაპიკალას, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ყოფილა. იგი დამპირდა, რომ გაისად საქართველოდან ერთ ფეხბურთელს უეჭველად მიიწვევდა „ნოკიას" გუნდში. ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის „ურპეილუს" რედაქტორი, ისმო ალპონენი გავიცანი, მის გაზეთში ინტერვიუ დაიბეჭდა. იგი ძველი ძიუდოისტი გამოდგა და პირდაპირ გამაბრუა ქართულ ძიუდოზე და დავით ხახალეიშვილზე კითხვებით. შემდეგ იგი დაინტერესდა, ჰყავთ თუ არა ქართველ ჟურნალისტებს ფეხბურთის გუნდი, მე დაუყოვნებლივ თქვენი — „ჩემპიონის" მისამართი მივეცი, მას ძალიან გაუხარდა და გასად ზაფხულში სტუმრობა აღგვიქვა თავისი გუნდით.

რაც შეეხება გოჩა ტყებუჩავას, იგი, მოგეხსენებათ, ტამპერეს „ილვესში" გამოდის. წლევანდელ სეზონში ფინეთის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის გამოსავლენად ჩატარებულ კონკურსში მეშვიდე ადგილი დაიკავა, ხოლო თავის გუნდში კი დიდი ხანია, საუკეთესო მოთამაშეა. მის გუნდში ბრაზილიელებიც თამაშობდნენ, მაგრამ ვერც ერთი ვერ შემორჩა. გოჩა ძალიან პოპულარულია, ქალაქში ყველა იცნობს, აქვს სამოთახიანი ბინა, ჰყავს „ტოიოტა". გასულ ჩემპიონატში ოთხი გოლი გაიტანა, წლეულს — ხუთი. თავდასხმაში ათამაშებენ, გოჩამ მითხრა, პასის მომცემი რომ მყავდეს ვინმე, უფრო მეტ გოლს გავიტანდიო.

შეხვედრისას გოჩამ კინაღამ დამახრჩო სიხარულისაგან და პირველად ეს მკითხა, „დინამო" — „ლინფილდის" კასეტა ხომ არ ჩამოგიტანიაო. მოკითხვების შემდეგ გოჩას შენი კითხვები გადავეცი.



გოჩა ტყებუჩავა ლანჩხუთის „გურიის" მაისურით თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ პირველი ეროვნული ჩემპიონატის მატჩში

— **გოჩა, როგორ ჩაიარა ფინეთის წლევანდელმა ჩემპიონატმა?**

— წლევანდელ ჩემპიონატში 12 გუნდი მონაწილეობდა უმაღლეს დივიზიონში. პირველი ეტაპის შემდეგ რვა საუკეთესომ მედლებისთვის გააგრძელა ბრძოლა. ოთხ ბოლო გუნდს (ჩვენი „ილვესი" ვერ მოხვდა საუკეთესო რვა გუნდში) დაემატა პირველი დივიზიონის ოთხი საუკეთესო გუნდი, რომელთაც მეორე ეტაპზე გააგრძელეს ბრძოლა უმაღლესი დივიზიონის ექვსი საგზურისთვის (მომავალ წელს უმაღლეს დივიზიონში 14 გუნდი იასპარეზებს). ჩვენ საბოლოოდ ამ რვა გუნდში პირველი ადგილი დავიკავეთ, რამდენიმე თამაში „ილვესმა" ჩემი გოლების წყალობით მოიგო. ასე რომ ჩემპიონატი მეცხრე ადგილზე დავასრულეთ.

— **შენს გარდა უცხოელი თუ არის გუნდში?**

— რამდენიმე ლეგიონერი გვყავდა, მაგრამ ყველა გაუშვეს. მათ შორის ბრაზილიელი ლუჩიანო მარტინსინი პორტუ ალეგრიდან და რიგის დაუგაველი შელიაპოვი.

— **ჩემპიონი ვინ გახდა წელს?**

— „ტურკუ", რომელშიც სამი ბრაზილიელი ლეგიონერი თამაშობს. სხვათაშორის, სამივემ დიდი როლი ითამაშა გუნდის ჩემპიონობაში. მშვენივრად უგებენ ერთმანეთს. სულ იმის ნატვრაში ვარ, კიდევ ორი ქართველი იყოს ჩვენთან: ისე ავაწყობდით საქმეს, საპრიზო სამეულში გავიდოდით. აქ პარტნიორებისგან მხარდაჭერა მაკლია.

— **სხვას რას იტყვი შენს გუნდზე?**

— ახლა ჩვენს კლუბს ფინანსური კრიზისი აქვს, რაღაც არეული იყო საქმე ხელმძღვანელობაში. ზედიზედ ორი მწვრთნელი გამოცვალეს, მესამე — მარტო ვაკლინი, ძალიან დამიახლოვდა და სულ იმას მეხვეწება, გუნდიდან არ წახვიდეო.

— **მოწვევებიც გაქვს საზღვარგარეთიდან?**

— ამასწინათ შვედეთიდან იყვნენ მენეჯერები და იქ გადასვლა შემომთავაზეს.

— **ფინეთში ძალისმიერ ფეხბურთს თამაშობენ?**

— მკაცრი ფეხბურთია, სულ ორთაბრძოლებია, შეტევის შექმნაზე უფრო მის ჩაშლაზე ფიქრობენ. ალბათ ამიტომაც ყველაზე პოპულარული ანგარიშებია 1:0, 1:1, 2:1.

— **ტრავმები თუ მიიღე ფინელი მცველების გამოისობით?**

— ამ ორ წელიწადში ორჯერ თავი გამიტეხეს, ერთხელაც — ნეკნები. ეს სერიოზულ ტრავმებს გეუბნები, თორემ მიკროტრავმები თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ მაქვს.

— **შენი ოჯახი როგორ შეეწყო ფინეთს?**

— მშვენივრად. განსაკუთრებით 10 წლის მამუკა, რომელიც ფინურ სკოლაში დადის და ისე სუფთად ლაპარაკობს ფინურად ერთ-ერთ იქაურ დიალექტზე, მკვიდრი ფინელი გეგონება. მასზე ოთხი წლით უმცროსი ლევანიც ფლობს ფინურს, მაგრამ მას ძალიან ენატრება თბილისი და განსაკუთრებით თავისი ბებიები. ჩემი მეუღლე მაიკო ჯერჯერობით არ მუშაობს, იგი ძალზე კარგად ფლობს ინგლისურს და ალბათ მალე სამსახურსაც დაიწყებს.

— **„დინამო" — „ლინფილდის" თამაშს თუ უყურე?**

— მთელ თამაშს ვერა, ამიტომ ძალიან მინდა ვიდეოჩანაწერის ნახვა. გოლები კი ვნახე. მეორე თამაშს ტელევიზორში ვუყურებდი, ძალიან დავიძაბე, ისე განვიცდიდი, კინაღამ ჭკუიდან გადავედი. ფანტასტიურად მომინდა „დინამოს" მაისური მცმოდა, ამ ბიჭების გვერდით ვყოფილიყავი და დავხმარებოდი, რითაც შემეძლებოდა...

— **ეს ყველაფერი ალბათ სამშობლოს მონატრებითაც აიხსნება...**

— სიტყვებით ვერ გადმოგცემ, როგორ მენატრება საქართველო და თბილისი, ჩემიანები, ჩემი სანატრელი და საყვარელი „გურია" — მეგობრული და ძმური გუნდი.

— **უკვე იმ ასაკში ხარ, ფეხბურთის შემდგომ მომავალზე რომ იფიქრო.**

— სანამ ჯანმრთელობა ხელს შემიწყობს, ვითამაშებ. უფეხბურთოდ არ შემიძლია. შემდეგ ალბათ მწვრთნელად ვიმუშავებ.

— **საქართველოს რას უსურვებ მანდედან?**

— რა თქმა უნდა, მშვიდობას და ურთიერთსიყვარულს და ძმობას მთელ საქართველოს.

— **ქართულ ფეხბურთს?**

— ქართულ ფეხბურთს და „დინამოს" ვუსურვებ გამაგრებას, არ დაშლას, გული არ გაიტეხონ და თავისას მაინც გაიტანენ...

...როგორც ბესო კირვალიძემ მითხრა, გოჩა მას თან გაჰყოლია ფინეთში, ქართულ ლაპარაკს მონატრებული ენა არ გაუჩერებია, ის კი არა, მოსკოვშიც დაურეკია ბესოსთვის. ალბათ ასეთია სამშობლოს ნოსტალგია.

ჩემი მხრიდან კიდევ ერთი მინდა დავამატო. ყოველ კვირას უამრავი ხალხი მიემგზავრება საქართველოდან საქმეებზე საფრანგეთში, გერმანიაში, კვიპროსში, შვედეთში, ბულგარეთში, სადაც ჩვენი ლეგიონერები თამაშობენ. კარგი იქნება, თუ ბესო კირვალიძის მსგავსად მოიცლიან და იქ მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს ნახავენ, ან კიდევ იქაურ პრესას ჩამოგვიტანენ. დღევანდელ პირობებში ეს ჩვენთვის და ქართველი მკითხველისთვის გაწეული ფასდაუდებელი სამსახური იქნება.

მამუკა კვარაცხელია

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი წინა ნომერში გაცნობეთ იმის შესახებ, რომ საფრანგეთს გაემგზავრა თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობის მოთამაშე დავით პეტრიაშვილი, რომელსაც ერთი წელი უნდა გაეტარებინა რუანის საფეხბურთო სკოლაში. ამგვარი ვოიაჟი ქართული ფეხბურთისთვის პირველი იყო და ამდენად მეტად მისასალმებელი. სამწუხაროდ მოხდა ისე, რომ პეტრიაშვილი ერთ თვეში უკან დაბრუნდა. თხუთმეტი წლის ფეხბურთელს „დინამო" — „კახეთის" მატჩზე შევხვდით და გავესაუბრეთ.

## ერთი თვე საფრანგეთში



დავით პეტრიაშვილი

— „ავაზაზე" ბავშვთა ერთ-ერთი ტურნირის ფინალზე შემამჩნიეს თბილისში სტუმრად მყოფმა საფრანგეთის წარმომადგენლებმა და მე, ზურა დავლიანიძე (1974 წელსაა დაბადებული) და ზურაბ უშვერიძე (1974) მიგვიწვიეს საფრანგეთში, ქალაქ „რუანის" კლუბის საფეხბურთო სკოლაში. „დინამოს" ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა ჩვენს გასამგზავრებლად. მალე სამივემ ჭაბუკთა პირველობაზეც ვითამაშეთ „რუანის" შემადგენლობაში, პარიზის ერთ-ერთ ჭაბუკთა გუნდს მოვუგეთ 4:3. ერთი გოლი მე გავიტანე, ერთიც უშვერიძემ. მატჩის შემდეგ ქებით შეგვამკეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის ახალი პრემიერ მინისტრის ბალადიურის გამოისობით მაქსიმალურად შეიზღუდა უცხოელთა გაფორმება საფრანგეთში სამუშაოდ თუ სხვადასხვა საქმეებზე.

„რუანში" პირველი დივიზიონის, „კანის" პრეზიდენტმა შემამჩნია და ხანმოკლე საუბრის შემდეგ საკუთარი მანქანით ჩამიყვანა კანში. ერთი მატჩი ჭაბუკთა პირველობაზე „კანის" შემადგენლობაშიც ვითამაშე, 5:3 მოვიგეთ და მე სამი გოლი შევაგდე. აღფრთოვანებული მასპინძლები მეუბნებოდნენ, შენნაირი მოთამაშე ჩვენს კლუბს არასდროს ჰყოლიაო, მაგრამ რად გინდა, საბუთები ვერც მათ გააკეთეს.

„ლე ავრში" გია გურულს დავურეკე, ჩამოგვაკითხა, ჰავრში წაგვიყვანა, მისი მატჩებიც ვნახეთ. დიდი პატივი გვცა სამივეს. „ლე ავრში" გია წამყვანი მოთამაშეა, გოლებიც გააქვს.

ახლა ისევ დილმის ბაზაზე ვემზადები. „დინამოში" მიწვევას ჯემალ ჩიმაკაძეს ვუმადლი, ჩემს ფეხბურთელობას კი თემურ თვალჭრელიძეს. საფრანგეთში გატარებულმა ერთმა თვემ ნათლად დამანახა, რომ ქართველებს ფეხბურთში დიდი პოტენცია გაგვაჩნია, არაფრით ჩამოვუვარდებით ფრანგებს და იმედია, როცა ჩვენთანაც დაწყნარდება ყველაფერი, ვაჯობებთ კიდეც მათ.

მამუკა კვანტალიანი

## ბოლო იმედი მომავალ წელიწადში

2 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (18 წლამდე) ბაქოში გაემგზავრა, საიდანაც 14 ნოემბერს თელ-ავივში გაფრინდება, რათა მონაწილეობა მიიღოს ახალგაზრდათა შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. 16 ნოემბერს ჩვენები ქალაქ ჰერცელში ისრაელის ნაკრებს ხვდებიან, 18 ნოემბერს კი საბაში — უკრაინელებს. უკრაინა-ისრაელის მატჩი 14 ნოემბერს გაიმართება. ჩვენი (VI) ჯგუფიდან გამარჯვებული IX ჯგუფის გამარჯვებულს (დანია, პოლანდია, ნორვეგია) შეხვდება, რომლის მოგებული გაისად გაზაფხულზე ესპანეთში იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატში სხვა შვიდ ბედნიერ გუნდთან.

**საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები:**
**მთავარი მწვრთნელი** — თამაზ კოსტავა, **მწვრთნელი** — თენგიზ კაცია, **ექიმი** — პალიკო კასრაძე, **მასაჟისტი** — ზურაბ გომიაშვილი

**მოთამაშეები:** დავით გვარამაძე (მეკარე, 1975 წელს დაბადებული, „დინამო"), მირიან მალაყმაძე (მეკარე, 75, „ბათუმი"), ლევან ტარყაშვილი (75, „შევარდენი 1906"), მიხეილ მაზიაშვილი (76, „დინამო"), გივი დიდავა (76, „ტორპედო"), შალვა ხუჯაძე (75, „დინამო"), ირაკლი ხუჯაძე (76, „დინამო"), გიორგი დემეტრაძე (75, „კახეთი"), გიორგი კიკნაძე (76, „დინამო"), მამუკა ჯიქია (75, „შევარდენი 1906"), ლევან ცქიტიშვილი (76, „დინამო"), გოჩა ტრაპაიძე (76, „დინამო"), ზაზა ჯანაშია (76, „შევარდენი 1906"), ვახტანგ იაგორაშვილი (75, „მრეტები"), ირაკლი ბარქაია (76, „ანცი"), ზაზა ზამთარაძე (76, „დინამო").

წასვლის წინ ვესაუბრეთ ნაკრების მწვრთნელს თენგიზ კაციას. იგი 1979-86 წლებში ჩხოროწყუს „სამეგრელოს" მწვრთნელი იყო, 1988-91 წლებში სწავლობდა მოსკოვის ფეხბურთის მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში. 1991 წლიდან ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელია.

— **ბატონო თენგიზ, მოკლედ მოგვიყევით იმ მუშაობის შესახებ, რომელიც ნაკრების ხელმძღვანელობამ გასწია ნაკრების დაარსების დღიდან.**

— ნაკრები თებერვალში შეიქმნა. გამოვცადეთ სამოცამდე ფეხბურთელი და მათგან ეს კონტიგენტი შევარჩიეთ. ვითამაშეთ თხუთმეტამდე ამხანაგური თამაში, ძირითადად პირველი ჯგუფის გუნდებთან („დინამო", „შევარდენი", „კახეთი"). აგვისტოში მონაწილეობა მივიღეთ ესპანეთში გამართულ ორ საერთაშორისო ტურნირში, ერთი მოვიგეთ (ორი მატჩი — ორი მოგება), მეორე — ვერა (ორი მატჩი — ორივე წაგება). ეს ყველაფერი ძალზე დაგვეხმარა მუშაობაში. მინდა მადლობა გადავუხადო ფედერაციას, რომელიც მიუხედავად საერთო გაჭირვებისა გამონახა სახსრები და ნაკრებს არაფერი მოაკლო.

— **ბაქოში თუ ითამაშებთ ამხანაგურ მატჩებს?**

— 8 ნოემბერს აზერბაიჯანის 18 წლამდე ნაკრებთან გვექნება მატჩი, 10-ში კი უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდთან. ორდღიანი ციკლი სპეციალურად გავაკეთეთ, რათა ისრაელის ტურნირს მივუახლოვოთ.

— **ყველა ფეხბურთელი მწყობრშია?**

— სამწუხაროდ ტრავმირებულია კიკნაძე, რომელზედაც ყველაზე დიდ იმედებს ვამყარებდით. ნაკრების ექიმი პალიკო კასრაძე გვპირდება, რომ 16 ნოემბრისათვის იგი მწყობრში იქნება.

— **მეტოქეზე რაიმე ინფორმაცია ხომ არ გაქვთ?**

— უკრაინაზე პრაქტიკულად არაფერი. მხოლოდ გადმოცემით ვიცი ვლადიმერ მუნტიანისგან (იგი ნაკრების მწვრთნელია), რომ საკმაოდ ძლიერი ბიჭები ჰყავს. რაც შეეხება ისრაელს, 1992 წელს 16 წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზეც კი გავიდა. ახლა ეს ბიჭები თამაშობენ. ოთხი წელია ერთად არიან, წელს თხუთმეტამდე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ითამაშეს მსოფლიოს სხვადასხვა ნაკრებებთან, თანაც საკუთარი კედლების ფაქტორიც მიეხმარებათ.

— **მახსოვს, ადრე I ჯგუფის გუნდების მთავარ მწვრთნელებს სთხოვდით, ნდობა გამოეცხადებინათ ახალგაზრდებისთვის...**

— თუ ახალგაზრდა კლუბში არ თამაშობდა, ძნელი იყო მისთვის მხოლოდ ნაკრებში ვარჯიში. მართლაც, მწვრთნელები მხარში ამოგვიდგნენ. მინდა მადლობა მოვუხადო გივი ნოდიას, მურთაზ ხურცილავას, ვაჟა ჩხაიძეს, ჯემალ მახარაშვილს, რომელნიც ხშირად ათამაშებდნენ ძირითადში ჩვენი ნაკრების წევრებს.

— **თქვენი ნაკრები ერთადერთი ძაფია, რომელიც დღესდღეობით ევროპასთან გვაკავშირებს...**

— ბიჭებს შეგნებული აქვთ ეს დიდი პასუხიმგებლობა, ვიცი, რომ ძალასა და მონდომებას არ დაიშურებენ წარმატებისთვის...

მამუკა კვანტალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 7:0 — პოპულარული ანგარიში

გასული შუაკვირა ევროპაში ევროტურნირების მატჩებით და საშინელი წვიმებით გამოირჩეოდა. ზოგან წვიმებმა ადამიანებიც შეიწირა, ევროთასების ზოგიერთ მატჩებში „მოსული“ გოლების წვიმა კი, ალბათ, მწვრთნელებს მოუღებს ბოლოს.

ჩემპიონთა თასზე უკვე პირველ ეტაპზე გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა მოსკოვის „სპარტაკმა“ და „მილანმა“, ამიტომაც მათი განმეორებითი მატჩები უფრო საწვრთნელ ხასიათს ატარებდა. რუსეთის ჩემპიონის მწვრთნელი ოლეგ რომანცევი თამაშის წინ მხოლოდ იმას შიშობდა, გაფრთხილება არავის მიეღო. ეს ამოცანა რუსებმა მშვენივრად შეასრულეს, თან ლუჟნიკების ამიერიდან გათბობა-დამონტაჟებულ მინდორზე „ლეხს“ კვლავ მოუგეს 2:1. როგორც მატჩის შემდეგ პოლონელთა ახალმა მწვრთნელმა (წინა, რომან იაკუბჩაკი, მოსკოველებთან პირველივე მატჩის შემდეგ მოხსნეს) პაველ სკოპჩეკმა თქვა, „სპარტაკი“ კარგად ითამაშებს ლიგაშიც კი. ოლეგ რომანცევმა კი, რომელიც ცოტა დამწუხრებული იყო ციმბალარისა და ანანკოს ტრავმებით, კითხვაზე, ეშინია თუ არა „მილანის“, თქვა, რომ იტალიის ჩემპიონის თამაშის მანერა პანიკის საფუძველს არ იძლევა. „მილანმაც“ „გაისეირნა“ ოთხშაბათს და დანიელებს მხოლოდ ერთი ბურთი გაუტანა. კვირას „მილანს“ „ინტერთან“ აქვს დაძაბული მატჩი და ალბათ ამიტომ თავი დაზოგა. „მანჩესტერიც“ თითქმის ასევე, თავის დაზოგვით ეთამაშა ჩვენს მეზობლებს, მაგრამ იტალიელებისგან განსხვავებით მათ მოგება სჭირდებოდათ. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ინგლისელებმა უეფა-ს ტურნირების წესი მე-



იარი ლიტმანენი

ტოქის მოედანზე გატანილი ბურთის უპირატესობის შესახებ არ იცოდნენ. ეს რომ ჩინებულად ჰქონდა ნააზრევი „ფეიენოორდს“, ფაქტია, მაგრამ უთავბოლო ჩაკიდებების გარდა ვერაფერი შესთავაზა „პორტუს“, როტერდამელთა „იმედმა“ ჯონ ვან ლუნმა კი იმდენი ურტყა ბურთს თავი, სანამ მთლად არ გამოულაყდა და ჩხუბზე არ გადავიდა. მსაჯმაც არ დაახანა და მოჩხუბარი „ფეიენოორდის“ მწვრთნელ ვან ჰანეგემს გვერდზე მოუსვა.

თასების თასის ახლანდელი მფლობელი „პარმა“, ხაიფაში პირველი მატჩის მოგების შემდეგ შინ დამარცხდა ისრაელის თასის მფლობელთან 0:1 და პენალტებამდე მიიყვანა საქმე. აქ კი ებრაელებმა, რომელთაც თამაშამდე ალბათ არც ეგონათ, რომ პენალტების დარტყმა მოუწევდათ, მხოლოდ ერთხელ მორის ვაი-ვაგლახით გაძვრა შემდეგ წრეში თასის მფლობელი. ასევე მეოთხედფინალში გავიდა იტალიის მეორე გუნდი — „ტორინო“. მან, მართალია ნერვები დააწყვიტა თავის ტიფოზებს, მაგრამ მეორე თამაშიც მოიგო, თუმცა უკვე მე-12 წუთზე ფიკამაც“, რომელმაც „ვასილ ლევსკიზე“ მხოლოდ ივაილო ანდონოვს გაატანინა გოლი, თავად კი სამით უპასუხა. „აიაქსმა“ დაამტკიცა, რომ მასზე არასდროს მოქმედებს უძლიერესი ფეხბურთელის უცხოეთში წასვლა და ის ყოველთვის კარგი ევროპული დონის კლუბად რჩება (ეს უარეს შემთხვევაში). სტამბოლის მატჩმა დაგვანახა, რომ ბერხკამპისა და იონკის გაყიდვით ნაშოვნი ფული „აიაქსმა“ „საქმეში ჩადო“ და ამ საქმეს იარი ლიტმანენი ჰქვია. ის, შეიძლება ითქვას, გროშებად არის ნაყიდი, დღეს კი მისი ფასი საფეხბურთო ბაზარზე მილიონობით დოლარს შეადგენს. „ბეშიქთაშთან“ სკანდინავიური დუეტის (ლიტმანენი-პეტერსონი) ანგარიშზეა ოთხივე გოლი. საინტერესოა, რომ „აიაქსმა“ ევროთასების ბოლო 25 მატჩიდან 18 მოიგო და მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. ლიეჟის „სტანდარდი“ ამსტერდამელებთან შედარებით ბევრჯერ უფრო მეტად დამარცხებულა, მაგრამ ასეთი მარცხი, თანაც შინ, არასდროს შემთხვევია. არადა, „არსენალის“ შვიდი გოლიდან არცერთი არაა კლუბის საუკეთესო ბომბარდირის იან რაიტის ანგარიშზე. მოკლედ, თუ ამ ტურის შედეგებით ვიმსჯელებთ, წელს თასების თასის მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატები „აიაქსი“, „ბენფიკა“ და „არსენალი“ არიან.



„ვალენსიის“ დამაქცეველი ედგარ შმიტი

## ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

„ფეიენოორდი“ ჰოლანდია — „პორტუ“ პორტუგალია 0:0 (0:1)
„სტიაუა“ რუმინეთი — „მონაკო“ საფრანგეთი 1:0 (1:4)
დუმიტრესკუ (84)
„სპარტაკი“ მოსკოვი, რუსეთი — „ლეხი“ პოლონეთი 2:1 (5:1)
კარპინი (8), ხლესტოვი (83); დემბილსკი (30)
„ვერდერი“ გერმანია — „ლევსკი 1914“ ბულგარეთი 1:0 (2:2)
ბასლერი (74)
„მილანი“ იტალია — „კოპენჰაგენი“ დანია 1:0 (6:0)
პაპენი (45)
„ანდერლეხტი“ ბელგია — „სპარტა“ ჩეხეთი 4:2 (1:0)
ბოსმანი (2), ნილისი (47, 71), ვერსაველი (89); დვირნიკი (18), ვონაჩეკი (60)
„გალათასარაი“ თურქეთი — „მანჩესტერ იუნაიტედი“ ინგლისი 0:0 (3:3)
„აუსტრია“ ვენა, ავსტრია — „ბარსელონა“ ესპანეთი 1:2 (0:3)
ოგრისი (38); სტოიჩკოვი (5, 80)

## თასების თასი

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

„ბეშიქთაში“ თურქეთი — „აიაქსი“ ჰოლანდია 0:4 (1:2)
ლიტმანენი (19, 71, 74), პეტერსონი (77)
„პარმა“ იტალია — „მაკაბი“ ხაიფა, ისრაელი 0:1 (1:0) პ 3:1
მიზრახი (51)
„რეალი“ მადრიდი, ესპანეთი — „ტიროლი“ ავსტრია 3:0 (1:1)
მიჩელი (6), ბუტრაგენიო (46), ალფონსო (65)
„აბერდინი“ შოტლანდია — „ტორინო“ იტალია 1:2 (2:3)
რიჩარდსონი (12); კარბონე (39), სილენცი (53)
ც.ს.კ.ა. ბულგარეთი — „ბენფიკა“ პორტუგალია 1:3 (1:3)
ანდონოვი (56); რუი კოშტა (32), ჟოაო პინტუ (74), იურანი (89)
„სტანდარდი“ ბელგია — „არსენალი“ ინგლისი 0:7 (0:3)
სმიტი (2), სელი (20), ადამსი (36), კემპბელი (41, 79), მერსონი (73), მაკგოლდრიკი (81)
„უნივერსიტატია“ რუმინეთი — „პარი სენ-ჟერმენი“ საფრანგეთი 0:2 (0:4)
გერენი (29, 48)
„ბაიერი“ ლევერკუზენი, გერმანია — „პანათინაიკოსი“ საბერძნეთი 1:2 (4:1)
კირსტენი (83); სარავაკოსი (6 პ), გეორგიადისი (66)

## უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალი. საპასუხო მატჩები

„იუვენტუსი“ იტალია — „კონგსვინგერი“ ნორვეგია 2:0 (1:1)
მიოლერი (27), რავანელი (68)
მ.ტ.კ. უნგრეთი — „მეხელენი“ ბელგია 1:1 (0:5)
ზ. კოვაჩი (59); პერეირა (10)
ო.ფ.ი. საბერძნეთი — „ატლეტიკო“ მადრიდი, ესპანეთი 2:0 (0:1)
მახლასი (51), ციფუტისი (64 პ)
„ნორვიჩ სიტი“ ინგლისი — „ბაიერნი“ მიუნხენი, გერმანია 1:1 (2:1)
გოსი (51); ვალენსია (5)
„სერვეტი“ შვეიცარია — „ბორდო“ საფრანგეთი 0:1 (1:2)
შეპული (65, საკ.კარში)
„სპორტინგი“ ლისაბონი, პორტუგალია — „სელტიკი“ შოტლანდია 2:0 (0:1)
კადეტე (18, 61)
„კალიარი“ იტალია — „ტრაბზონსპორი“ თურქეთი 0:0 (1:1)
„კარლსრუე“ გერმანია — „ვალენსია“ ესპანეთი 7:0 (1:3)
შმიტი (29, 34, 59, 63), შუტერლე (37), შმაროვი (46), ბილიჩი (90)
„აპოლონი“ კვიპროსი — „ინტერი“ იტალია 3:3 (0:1)
სპოლარეცი (11), ცეპოვიჩი (32), იოსეფიდისი (85);
შალიმოვი (6), ბერხკამპი (8), ფონტოლანი (38)
„დნეპრი“ უკრაინა — „აინტრახტი“ გერმანია 1:0 (0:2)
ჩუხლება (37)
„ანტვერპენი“ ბელგია — „კაზინო“ ავსტრია 0:1 (0:1)
ფაიერზინგერი (84)
„ბრონდბიუ“ დანია — „კუუსუსი“ ფინეთი 3:1 (4:1)
კრისტენსენი (39), მადსენი (68), პეგი (85 პ); ანუნენი (6)
„ბორუსია“ დორტმუნდი, გერმანია — „ბრანიკი“ სლოვენია 2:1 (0:0)
შაპუიზა (48, 52); ბოზგო (21)
„ასტონ ვილა“ ინგლისი — „ლა კორუნია“ ესპანეთი 0:1 (1:1)
მანხარინი (36)
„ბოავიშტა“ პორტუგალია — „ლაციო“ იტალია 2:0 (0:1)
რიკი ოვუბოკირი (20, 55)
„ოლიმპიაკოსი“ საბერძნეთი — „ტენერიფე“ ესპანეთი 4:3 (1:2)
კრისტიანსენი (13, 24,84), იოანიდისი (60); მინამბრესი (25), ჩანო (46 პ), ამანატიდისი (79, საკ.კარში)

უეფა-ს თასზე მოთამაშე „კარლსრუეს“ ფეხბურთელმა, 30 წლის ედგარ შმიტმა, რომელსაც წლევანდელ სეზონამდე ბუნდესლიგაში სულ 10 გოლი ჰქონდა გატანილი, „აიშვა“ სამშაბათს და ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერს ერთბაშად ოთხი გაუტანა. არადა, ორი კვირის წინ „ვალენსია“ 3:0-ს უგებდა „კარლსრუეს“ და მხოლოდ იგივე შმიტმა, რომელიც ფრანკფურტის „აინტრახტიდან“ წელს გადმოვიდა, გაიტანა ერთადერთი გოლი. რაც შეეხება თავად „აინტრახტს“, მან წარმატებით გაიარა პირველი ორი რაუნდი, სადაც მას ყოფილი საბჭოეთის გუნდები შეხვდნენ. დნეპროპეტროვსკში, წაგების მიუხედავად, „აინტრახტი“ მთელი თამაში სჯობნიდა „დნეპრს“ და ზედმეტი ნერვიულობის გარეშე გავიდა მერვედფინალში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ თამაშში გასული ერთადერთი გოლი ნამდვილად არ იყო ჩასათვლელი, ვინაიდან მასპინძელთა ერთ-ერთი ფორვარდი აშკარა თამაშგარეში იყო. „ვალენსიას“ განადგურების შემდეგ დიდ სენსაციად აღარ აღიქმება ბერძნულ კუნძულ კრეტას ოფი-ს მოგება მადრიდის „ატლეტიკოსთან“. ეტყობა, მადრიდელებმა მთელი ძალ-ღონე ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ბარსელონასთან“ მოგებულ მატჩს შეალიეს, თუმცა კი მიიჩნევენ, რომ უეფა-ს თასიდან მათი გამოვარდნის მთავარი მიზეზი ჩეხი არბიტრი ულრიხია: 64-ე წუთზე „ატლეტიკოს“ მეკარე დიასმა მოიგერია ციფუტისის პენალტიდან დარტყმული ბურთი, იგი ზემოთ ავარდა და შემდეგ დიასმა მოედანზე გადააგდო, მაგრამ მსაჯმა მიიჩნია, რომ ბურთმა ჰაერში კარის ხაზი გადაკვეთა და მადრიდელთა უკიდურესი აღშფოთების მიუხედავად გოლი ჩათვალა.

მოკლედ, რა ხდება საფეხბურთო ევროპაში, კაცმა არ იცის. ვინ წარმოიდგენდა, რომ „ვალენსია“ და „სტანდარდი“ ნოლით-შვიდებს წააგებდნენ, კვიპროსის „აპოლონი“ კი მხოლოდ ერთ ზედმეტ ბურთს გაატანინებდა ვარსკვლავებით გატენილ „ინტერს“? ევროპის ფეხბურთში უკვე ძალიან ძნელია რაიმეს პროგნოზირება და ეს მხოლოდ ტოტალიზატორის მფლობელებს თუ ახარებთ.

მორიგი ეტაპის წილისყრა დღეს გაიმართება.

ზურაბ მექველია

---

**უნგრელი** მსაჯი შანდორ პული, რომელმაც ავსტრალიისა და არგენტინის პირველი მატჩი იმსაჯა, გაოცებული დარჩა დიეგო მარადონას უხეირო ფიზიკური ფორმით. შეხვედრის შემდეგ პულმა განაცხადა: ეტყობა მარადონამ 12 კილოგრამთან ერთად მთელი ძალაც დაკარგა. ასეთი დონის მატჩისთვის ის სავსებით მოუმზადებელი იყო — მთელი თამაში ძუნძულით თუ დარბოდა, ხოლო სირბილზე გადასვლის შემდეგ კარგა ხანს ქოშინებდაო. პულის აზრით, სქელი მარადონა აშკარად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე გამხდარი.

## ფეხბურთის რუკასთან

**ამერიკულმა** კომპანია „ინტერნეშნლ სპორტს ლიმიტედმა“ ნიუ-იორკის სასამართლოში უჩივლა ცნობილ პელეს. როგორც სარჩელში სწერია, პელემ დაარღვია ამ კომპანიასთან დადებული კონტრაქტი, რომელიც ტელეგადაცემათა სერიალის მოწყობას ითვალისწინებდა. ხელშეკრულების თანახმად, ფეხბურთის ე.წ. მეფე მილიონ დოლარს მიიღებდა (96 ათასი მან ავანსად აიღო), თუმცა ამის სანაცვლოდ არანაირ სხვა ტელეგადაცემაში არ უნდა გამოჩენილიყო. მაგრამ გაირკვა, რომ ბრაზილიელი არ ასრულებდა ამ მითითებას. ის კი არადა, ანალოგიური კონტრაქტი მას სხვა ფირმასთანაც დაუდია. მოკლედ, ეს რა დრო დადგა? პელემაც კი ყალთაბანდობა დაიწყო.

**იტალიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლეჩესთან“ 1:5 წაგების შემდეგ კლუბ „ატალანტას“ გამგეობამ სამსახურიდან დაითხოვა მწვრთნელი ფრანჩესკო გვიდოლინი. მომავალი მატჩიდან ბერგამოელებს ტურინის „იუვენტუსის“ ყოფილი ფეხბურთელი კლაუდიო პრანდელი უხელმძღვანელებს.

**ჰოლანდიელი** არი ჰაანის „სტანდარდის“ მწვრთნელობიდან მოხსნა ჩვენ უკვე გაუწყეთ. ორიოდ დღის უკან კი მას მიჰყვა თანამემამულე ჰენკ ჰაუვაარტი, რომელიც ბელგიისვე „სერკლ ბრიუგეს“ წვრთნიდა. ბოლო ტურში ამ გუნდმა შინ „შარლეროასთან“ წააგო 0:1, ბოლოდან მესამე ადგილზე გადავიდა და მწვრთნელი, რომელიც ორი წელი იყო გუნდში, მყისვე გააგდეს.

**ირანის** ფეხბურთის ფედერაციამაც ეროვნული ნაკრების წარუმატებელი თამაში ამასწინათ ყატარში გამართულ ტურნირზე მწვრთნელებს გადააბრალა და ალი ფარვანი და მისი თანაშემწეები მოხსნა. თან არაპროფესიონალიზმი, კრიტიკის მიუღებლობა და მედიდურობა დააბრალა. როგორც იქაური გაზეთი „აბრამი“ წერს, ფარვინმა ნაკრების მზადებისთვის გამოყოფილი 2 მილიონი დოლარი ქარს გაატანა.

**ნორვეგიის** ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებების ერთ-ერთი ავტორი, 24 წლის ლარს ბოჰინენი ამიერიდან ინგლისის „ნოტინგემ ფორესტში“ ითამაშებს. 450 ათას გირვანქად ნაყიდი ნორვეგიელი ერთდროს ევროპის ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელის, წინა სეზონში კი ქვეყნის უმაღლესი დივიზიონიდან გავარდნილი გუნდის ახალი იმედია.



„ნოტინგემის“ ახალი იმედი ლარს ბოჰინენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკალათბურთო შოუ გრძელდება

მეორე ჯგუფის თამაშების დაწყება სიახლით აღინიშნა. გასახურებლად გამოსულ კალათბურთელებს და მათ მოცქერალ დარბაზს მაიკლ ჯექსონისა და სხვა პოპ ვარსკვლავთა რიტმული მუსიკა ამხნევებდა. მავანი იტყვის ამ უბედურ დროში რა დროს ეგ არისო, მაგრამ „სარბიელის" ფოტოკორესპონდენტის თქმისა არ იყოს, სჯობია დანარჩენმა საქართველომ ყველაფერში მიბაძოს ვერის ბაღში მოქცეულ კალათბურთის სამყაროს, ვიდრე პირიქით.

## ვაჟთა ჩემპიონატის პირველი ტური

4 ნოემბერი
თბილისი — აზოტი 105:72

თბილისი: ხელაშვილი (20), გურასპაული (5), სანაძე (17), ქორქია (3), დერიუგინი (15); აბულაშვილი (2), კოკოლიშვილი (16), შავლოხაშვილი (10), ახვლედიანი, ქარაბაქი (6), ცაგარეიშვილი (11), ქორფაშვილი
აზოტი: აბზიანიძე (5), გაბისონია (2), ბერუაშვილი (14), აბაშიძე (8), მიქიაშვილი (17); ქობულაძე (16), კიკვიძე (6), კოჭლამაზაშვილი (4)

თორსი — ჯიხვი 95:69

თორსი: ტალაბაძე (12), დ.თორთლაძე (28), ფერიაშვილი (22), იაშვილი (11), ხარაძე (3); ლუდუშაური (6), ცაგარეიშვილი, ი.თორთლაძე (11), ვასაძე, ლომიძე, ფიცხელაური (2)
ჯიხვი: ხუჯაძე (6), ბერეკაშვილი (15), გუმბერიძე (2), ჯალაღონია (14), მაჩალაძე (9); ნაცვლიშვილი (6), დევიძე (5), ჩიხრაძე (2), ხაზარაძე (2), გუგუციძე (8)

ჯერ ჩემპიონატი ხეირიანად არ დაწყებულა, მაგრამ „თბილისს" უკვე უწინასწარმეტყველებენ სუპერფინალში გასვლას. რუსთაველები სულ აგებდნენ, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს ფავორიტს. ყურადღებას იქცევდა მათი მეექვსე ნომრის მიხეილ ბერუაშვილის ენერგიული თამაში. მან და მისმა ოპონენტმა ნიკოლოზ დერიუგინმა დაახლოებით ერთნაირი რაოდენობის ქულები მოიპოვეს, თუმცა ბერუაშვილმა ოცდაერთჯერ ააცილა მიზანს, დერიუგინმა კი ექვსჯერ.

„თორსი" „ჯიხვზე" ძლიერი იყო, თბილისელთა გუნდის ლიდერი კი დავით თორთლაძე გახლდათ, რომელიც ჩვენი დაკვირვებით, რეალურად ერთ-ერთი მწვრთნელის ფუნქციასაც ასრულებს, რადგან ერთხელ მისი თხოვნით აიღო მთავარმა მწვრთნელმა წუთშესვენება, რომელზეც გუნდს მითითება მათმა მეთერთმეტე ნომერმა მისცა. ქუთაისელებმა მებრძოლი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა ვეჭვობთ, რომ მათ ლიდერებს კონკურენცია გაუწიონ.

ილია ბაბუნაშვილი

## სტატისტიკა

გთავაზობთ პირველ ჯგუფში ჩატარებული ათი შეხვედრის მიხედვით შედგენილ სტატისტიკას. იგი კალათბურთელთა თავდასხმაში თამაშს ასახავს. I წრის დამთავრების შემდეგ შევეცდებით უფრო სრულყოფილი მონაცემები წარმოგიდგინოთ, სადაც გათვალისწინებული იქნება სხვა მაჩვენებლებიც: ახსლეტილი ბურთების მოპოვება, დაფარება და სხვა.

მასალები მოამზადეს
ილია ბაბუნაშვილმა, სოსო კოჭლამაზაშვილმა,
გიორგი ხუნდაძემ და გია ახალაძემ.



„ვითა" — „კაქტუსი"



საარაკო შედეგი აჩვენა დავით ბერძენიშვილმა („კაქტუსი"): ტურში 33 სროლიდან 27 ჩააგდო!

### სამქულიანები

ერთ მატჩში ჩაგდებული სამქულიანები

| | |
|---|---|
| ისაკაძე (შევარდენი) | 8 |
| ლოლიშვილი (ჯიქი) | 8 |
| სართანია (შევარდენი) | 5 |
| სართანია (შევარდენი) | 5 |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 5 |
| კ. მაჭავარიანი (შევარდენი) | 5 |
| დადიანი (ვითა) | 5 |

ერთ მატჩში სამქულიანების ჩაგდების პროცენტი

| | | |
|---|---|---|
| ბეჟანიშვილი (ვითა) | 100 | (3-3) |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 75 | (4-3) |
| დადიანი (ვითა) | 66,7 | (7-3) |
| კობეშავიძე (ვითა) | 66,7 | (6-4) |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 66,7 | (6-4) |

ყველა მატჩში ჩაგდებული სამქულიანები

| | |
|---|---|
| ლოლიშვილი (ჯიქი) | 13 |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 12 |
| სართანია (შევარდენი) | 11 |
| დადიანი (ვითა) | 11 |
| მერკვილაძე (ჯიქი) | 10 |

ყველა მატჩში სამქულიანების ჩაგდების პროცენტი

| | | |
|---|---|---|
| ბეჟანიშვილი (ვითა) | 100 | (5-5) |
| კობეშავიძე (ვითა) | 58,5 | (12-7) |
| გიგაური (მერანი) | 46,7 | (15-7) |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 46,7 | (15-7) |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 44,4 | (27-12) |

ერთ მატჩში სამქულიანების ჩაგდების პროცენტი ნაანგარიშებია იმათთვის ვინც მინიმუმ 3 ტყორცნა ჩააგდო. ყველა მატჩში სამქულიანების ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 5 ჩაგდება. ბეჟანიშვილმა და კობეშავიძემ თითო მატჩი გამოტოვეს.

### ორქულიანები

ერთ მატჩში ჩაგდებული ორქულიანები

| | |
|---|---|
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 17 |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 17 |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 12 |
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 11 |
| შენგელია (ვითა) | 10 |
| ბეჟანიშვილი (ვითა) | 10 |

ერთ მატჩში ორქულიანების ჩაგდების პროცენტი

| | | |
|---|---|---|
| ჩუბინიძე (ვითა) | 100 | (8-8) |
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 91,6 | (12-11) |
| კობეშავიძე (ვითა) | 85,7 | (7-6) |
| ჩუბინიძე (ვითა) | 83,3 | (6-5) |
| ა.ულენტი (კაქტუსი) | 83,3 | (6-5) |

ყველა მატჩში ჩაგდებული ორქულიანები

| | |
|---|---|
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 52 |
| კ. მაჭავარიანი (შევარდენი) | 27 |
| დადიანი (ვითა) | 24 |
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 22 |
| შენგელია (ვითა) | 19 |

ყველა მატჩში ორქულიანების ჩაგდების პროცენტი

| | | |
|---|---|---|
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 78,6 | (28-22) |
| კობეშავიძე (ვითა) | 68,7 | (78-52) |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 66,7 | (78-52) |
| ჩუბინიძე (ვითა) | 66,7 | (24-16) |
| მერკვილაძე (ჯიქი) | 64,7 | (17-11) |

ერთ მატჩში ორქულიანების ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 5 ჩაგდება. ყველა მატჩში ორქულიანების ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 10.

### საჯარიმოები

ერთ მატჩში ჩაგდებული საჯარიმოები

| | |
|---|---|
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 7 |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 6 |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 6 |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 6 |
| შენგელია (ვითა) | 5 |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 5 |
| ნივნივაძე (ჯიქი) | 5 |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 5 |

ერთ მატჩში საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი

| | | |
|---|---|---|
| პეტრიაშვილი (მერანი) | 100 | (6-6) |
| პეტრიაშვილი (ჯიქი) | 100 | (5-5) |
| ნივნივაძე (ჯიქი) | 100 | (5-5) |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 87,5 | (8-7) |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 85,7 | (7-6) |

ყველა მატჩში ჩაგდებული საჯარიმოები

| | |
|---|---|
| პეტრიაშვილი (მერანი) | 17 |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 14 |
| შენგელია (ვითა) | 13 |
| გაბრიჩიძე (მერანი) | 12 |
| ბოლქვაძე (ჯიქი) | 10 |
| ლოლიშვილი (ჯიქი) | 10 |

ყველა მატჩში საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი

| | | |
|---|---|---|
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 100 | (6-6) |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 89,5 | (19-17) |
| ბეჟანიშვილი (ვითა) | 83,3 | (6-5) |
| გურგენიძე (მერანი) | 83,3 | (6-5) |
| ნივნივაძე (ჯიქი) | 80 | (10-8) |

ერთ მატჩში საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 5, ყველა მატჩში საჯარიმოების ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 5 ჩაგდება

### ყველა ტიპის სროლები

ერთ მატჩში ჩაგდებული ბურთები

| | |
|---|---|
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 21 |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 20 |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 19 |
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 15 |
| შენგელია (ვითა) | 14 |

ერთ მატჩში პროცენტები

| | | |
|---|---|---|
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 93,7 | (16-15) |
| ჩუბინიძე (ვითა) | 90 | (10-9) |
| ბეჟანიშვილი (ვითა) | 85,7 | (7-6) |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 78,5 | (14-11) |
| ნივნივაძე (ჯიქი) | 77,7 | (9-7) |

ყველა მატჩში ჩაგდებული

| | |
|---|---|
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 73 |
| დადიანი (ვითა) | 40 |
| შენგელია (ვითა) | 35 |
| კ.მაჭავარიანი (შევარდენი) | 34 |
| ლოლიშვილი (ჯიქი) | 33 |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 33 |

ყველა მატჩში პროცენტები

| | | |
|---|---|---|
| ბერძენიშვილი (კაქტუსი) | 81 | (33-27) |
| ნაცვლიშვილი (კაქტუსი) | 68,2 | (107-73) |
| კობეშავიძე (ვითა) | 65,8 | (41-27) |
| ბეჟანიშვილი (ვითა) | 65,1 | (43-28) |
| პეტრიაშვილი (მერანი) | 63,4 | (52-33) |

ერთ მატჩში ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 6, ყველა მატჩში ჩაგდების პროცენტი — მინიმუმ 20

ტურის საუკეთესო ბომბარდირია ვახტანგ ნაცვლიშვილი („კაქტუსი") ოთხ მატჩში 127 ქულა, საშუალოდ 31,7 ქულა მატჩში.

# ტოტოლოტო

## საფეხბურთო პროგნოზი

ტირაჟი № 35 12-17 ნოემბერი

| | | შარშან | პროგნოზი | |
|---|---|---|---|---|
| | გერმანიის ჩემპიონატი | | | |
| 1 | კიოლნი — მიონხენგლადბახი | 1:2, 2:1 | 4 4 2 | 1 X |
| 2 | დუისბურგი — შალკე | — | 5 3 2 | 1 X |
| 3 | შტუტგარტი — ლევერკუზენი | 0:3, 0:4 | 4 3 3 | 1 X 2 |
| 4 | ჰამბურგი — აინტრახტი | 1:2, 3:3 | 3 5 2 | 1 X |
| 5 | ბაიერნი — კარლსრუე | 3:3, 2:4 | 7 2 1 | 1 |
| | მსოფლიოს ჩემპიონატი | I წრე | | |
| 6 | ჩრდ. ირლანდია — ირლანდია | 0:3 | 2 4 4 | X 2 |
| 7 | საფრანგეთი — ბულგარეთი | 0:2 | 6 2 2 | 1 |
| 8 | ესპანეთი — დანია | 0:1 | 5 3 2 | 1 X |
| 9 | იტალია — პორტუგალია | 3:1 | 7 2 1 | 1 |
| 10 | პოლონეთი — ჰოლანდია | 2:2 | 3 3 4 | 1 X 2 |
| 11 | საბერძნეთი — რუსეთი | 1:1 | 4 4 2 | 1 X |

№ 33 ტირაჟშიც ჯეკ-პოტი ალინიშნა
№ 24-№ 33 ტირაჟებში სულ შემოსულია 299 250 კუპონი

შევსებული ბილეთების ჩაბარების ბოლო ვადა: თბილისში — ყოველი კვირის ხუთშაბათი, 16 საათამდე, ცენტრალური ტელეგრაფის შენობაში.
ცნობებისთვის დარეკეთ: 96-32-61


სარბიელი

# ტოტალიზატორი "CROCO"

თამაშის წესები:

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონი გაკეთებულია ერთდროულად რამდენიმე მატჩის შედეგის გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და შესაბამისად მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც. ამ შემთხვევაში მოგების კოეფიციენტია — 4,0.

ფსონის მინიმალური თანხაა 1000 კუპონი. ფსონების ვარიანტების რაოდენობა და დადებული თანხის სიდიდე არ არის შეზღუდული.

მოგებები გაიცემა ქვითარში აღნიშნული ბოლო მატჩის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს ეროვნული სტადიონის მეხუთე სალაროში 13-დან 16 საათამდე.

დაწვრილებით წესებს შეგიძლიათ გაეცნოთ ეროვნული სტადიონის V სალაროში.

## უახლოესი ფსონები მიიღება შემდეგ თამაშებზე:

| | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|
| 5 ნოემბერი | მიონხენგლადბახი — ჰამბურგი | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | კაიზერსლაუტერნი — ვატენშაიდი | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| 6 ნოემბერი | კიოლნი — ვერდერი | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | კარლსრუე — დუისბურგი | 2,2 | 2,2 | 2,2 |
| | ნიურნბერგი — ბაიერნი | 3,3 | 2,3 | 1,5 |
| | დრეზდენი — ლევერკუზენი | 3,6 | 2,3 | 1,4 |
| | აინტრახტი — დორტმუნდი | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | მონაკო — პსჟ | 1,8 | 2,0 | 3,0 |
| | ქუინზ პარკი — ბლექბერნი | 1,4 | 2,2 | 4,0 |
| | მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნ. | 2,6 | 2,1 | 1,9 |
| | არსენალი — ასტონ ვილა | 1,4 | 2,0 | 4,5 |
| 7 ნოემბერი | სელტა — ბილბაო | 3,0 | 2,0 | 1,8 |
| | ხიხონი — ვალენსია | 3,0 | 2,0 | 1,8 |
| | სარაგოსა — ატლეტიკო | 2,4 | 2,0 | 2,2 |
| | კრემონეზე — ლეჩე | 1,2 | 2,2 | 7,5 |
| | ინტერი — მილანი | 1,8 | 1,8 | 3,2 |
| | ნაპოლი — ლაციო | 1,6 | 2,0 | 3,7 |
| | პარმა — იუვენტუსი | 2,0 | 2,0 | 2,6 |
| | სამპდორია — კალიარი | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | ტორინო — რეჯანა | 1,1 | 2,5 | 8,3 |
| | უდინეზე — ჯენოა | 1,3 | 2,1 | 5,3 |
| 10 ნოემბერი | თურქეთი — ნორვეგია | 3,0 | 2,1 | 1,7 |
| | ავსტრია — შვედეთი | 2,2 | 2,0 | 2,4 |
| | ისრაელი — ფინეთი | 1,2 | 2,3 | 6,2 |
| | ოსერი — ბორდო | 1,6 | 2,1 | 3,2 |
| | კანი — მონაკო | 2,0 | 2,1 | 2,4 |
| | ვალენსია — რეალ მადრიდი | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | რაიო ვალეკანო—რეალ-სოსიედადი | 2,5 | 2,0 | 2,0 |
| | ტენერიფე — ბარსელონა | 3,4 | 1,2 | 3,4 |
| | ატლეტიკი — დეპორტივო | 2,1 | 1,8 | 2,9 |

## წინა ტურის შედეგები:

2-4 ნოემბერი: აუსტრია — ბარსელონა 1:2, გალათასარაი — მანჩესტერ იუნ. 0:0, ვერდერი — ლევსკი 1:0 (X), ფეიენოორდი — პორტუ 0:0, აბერდინი — ტორინო 1:2, ცსკა — ბენფიკა 1:3, ბეშიქთაში — აიაქსი 0:4, იუვენტუსი — კონგსვინგერი 2:0 (X), ბოავიშტა — ლაციო ?, ოლიმპიაკოსი — ტენერიფე ?, დნეპრი — აინტრახტი 1:0, ანტვერპენი — კაზინო 0:1, სერვეტი — ბორდო 0:1, ოფი — ატლეტიკო 2:0, კალიარი—ტრაბზონსფორი 0:0 (2), აპოლონი — ინტერი 3:3, სპორტინგი — სელტიკი 2:0, ნორვიჩი — ბაიერნი 1:1, კარლსრუე — ვალენსია 7:0, ასტონ ვილა — ლა კორუნია 0:1


# შედეგთა დაფა

## რაგბი

ამერის ჩემპიონატი. I ჯგუფი. (სამ), 2.XI. ვაკე

„ყოჩები" 6 (ს, ა) „აზოტი" (რუსთავი) 45 (7ლ, 5გ)

| | თ | მ | ფ | წ | — | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შევარდენი | 9 | 8 | 0 | 1 | 0 | 215-146 | 16 |
| აზოტი (რ) | 10 | 8 | 0 | 2 | 0 | 217-125 | 16 |
| ვესტა | 9 | 7 | 0 | 2 | 1 | 258-105 | 13 |
| ამირანი | 9 | 5 | 0 | 4 | 0 | 115- 87 | 10 |
| თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 0 | 181-243 | 5 |
| ყოჩები | 11 | 2 | 1 | 8 | 2 | 145-268 | 3 |
| ქორები | 10 | 1 | 0 | 9 | 0 | 106-273 | 2 |

მეხუთე გრაფაში სხვადასხვა მიზეზით დაქვითული ქულები წერია

დღეს, ვაკეში, 15 საათზე: „ქორები" — „აზოტი" ითამაშებენ

ავსტრალიის „ვოლაბების" ტურნე საფრანგეთში

VI თამაში. (სამ), 2.XI. ტულონი. საფრანგეთის რივიერა 21 ავსტრალია 15. ხვალ პარიზში მეორე ტესტია. პირველი საფრანგეთმა მოიგო 16:13

ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" ტურნე ბრიტანეთში

IV თამაში. (სამ), 2.XI. ლივერპული, „ანფილდ როუდი". ჩრდილოეთი ინგლისი 21 (6) (7ს: გრეისონი) ახალი ზელანდია 27 (22) (4ლ: №10 ელისი - 2, №2 პიუითი, №7 რაში; 2გ, ს: №14 ვილსონი)

სამხრეთ აფრიკის „ქურციკების" ტურნე არგენტინაში

III თამაში. (სამ), 2.XI. სან-მიგელ-დე-ტუკუმანი. ტუკუმანი (პროვინციათა ჩემპიონი) 12 სამხრეთი აფრიკა 40. ხვალ პირველი ტესტია

„სამხრეთაფრიკელი ბარბაროსების" ტურნე ბრიტანეთში

VII თამაში. (ოთხ), 3.XI. რედრუთი. კორნუოლის საგრაფო 12 „ბარბაროსები" 44 (6ლ). სტუმრებმა შეიდივე თამაში მოიგეს

## ლიგის რაგბი

ახალი ზელანდიის „კივის" ტურნე ბრიტანეთში

X თამაში. (სამ), 2.XI. „ვიდნესი" 10 (6) „კივი" 18 (0). სტუმრებმა მეექვსე თამაში მოიგეს. ხვალ ლიდზში ბოლო, მესამე ტესტია. ბრიტანელებმა პირველ ორში გაიმარჯვეს (17:0, 29:12)

## მძლეოსნობა

საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ყოველწლიური გამოკითხვა სეზონის საუკეთესო ათლეტის გამოსავლენად. 1500 გამოკითხული

ვაჟები. I. კოლინ ჯექსონი (ბრიტანეთი) 2295,5 ქულა; II. ნურადინ მორსელი (ალჟირი) 2238; III. ლინფორდ კრისტი (ბრიტანეთი) 2176; IV. ხავიერ სოტომაიორი (კუბა) 1799,5; V. სერგეი ბუბკა (უკრაინა) 1674; VI. მაიკ ჯონსონი (აშშ) 1511; VII. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 1494; VIII. იობეს ონდიეკი (კენია) 1175; IX. ფრანკი ფრედერიქსი (ნამიბია) 648; X. დან ობრაიენი (აშშ) 601; XI. მაიკ პაუელი (აშშ) 580,5; XII. ისმაილ კირუი (კენია) 546; XIII. კევინ იანგი (აშშ) 425; XIV. ხაილე გაბრესილასე (ეთიოპია) 168; XV. მოზეს კიპტანუი (კენია) 167

ქალები. I. სალი განელი (ბრიტანეთი) 2274; II. ვან ცზუნსია (ჩინეთი) 2256; III. გეილ დივერსი (აშშ) 2208; IV. მერლინ ოტი (იამაიკა) V. 2064; ცე ვუნსია (ჩინეთი) 1435; VI. პაიკე დრეხსლერი (გერმანია) 1051; VII. ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) 769; VIII. სანდრა ფარმერ-პატრიკი (აშშ) 699; IX. სონია ოსალივანი (ირლანდია) 538; X. გვენ ტორენსი (აშშ) 534; XI. ანა ბირიუკოვა (რუსეთი) 439; XII. ტრინე პატესტატი (ნორვეგია) 393; XIII. ლიუ დუნი (ჩინეთი) 278; XIV. იუნკო ასარი (იაპონია) 277

## ველორბოლა

ჰონოლულუ. 31 ოქტომბერი — 3 ნოემბერი. ჰავაის ველოტური

პირადი. I. სკოტ მერსერი (აშშ) 135 ქულა; II. ტომაშ ბრონზვა (პოლონეთი) 110; III. მეთიუ კოშარა (აშშ) 82

გუნდური. I. აშშ; II. პოლონეთი; III. ლატვია

# საჯილდაო

## ბოლოსწინა, მერვე წრის პასუხები

(1) სად და როდის გაიმართა გაფრინდაშვილ-კუშნირის ბოლო (მერამდენე?) მატჩი? ვინ და რა ანგარიშით გაიმარჯვა? ნონას სეკუნდანტი ვინ იყო? — ბოლო, მესამე მატჩი 1972 წელს რიგაში გაიმართა; ნონამ ერთი ქულით გაიმარჯვა; მას რიგელი აივარ გიპსლისი ეშველებოდა

(2) ფეხბურთის წესებში როდის შეიტანეს ბოლო უმნიშვნელოვანესი ცვლილება, რომელმაც ბურთის გატანა ისევ შესაძლებელი გახადა? რისი წესი შეიცვალა და როგორ? — 1925 წელს სამკაციანი თამაშგარეს ნაცვლად ორკაციანი შემოიღეს

(3) ქართველ მთამსვლელთაგან ვინ ასულა ევერესტზე? როდის? — რომან გიუტაშვილი; 1991 წლის ბოლოს

(4) რამდენჯერ გასულა თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი ევროპული შეჯიბრებების ფინალში? როდის? ვის წინააღმდეგ? რისთვის მიუღწევია? — სამჯერ: 1960 წელს დავმარცხდით რიგის ასკ-თან, 1962 წელს მოვუგეთ მადრიდის „რეალს", 1969 წელს კი თასების თასზე წავაგეთ პრაღის „სლავიასთან"

(5) ზამთრის რომელ ბურთაობაში მღლავნდებოდა ყბადაღებული „რუსსკაია უდალ"? რუსებმა პირველად როდის, სად და ვისთან წააგეს მსოფლიო პირველობა? რუსთა მძლეველთა ენაზე რა ჰქვია ამ თამაშს? პენალტს რა მანძილიდან ურტყამენ? 1960-70-იანი წლების საუკეთესო რუსი მოთამაშე რა გვარი იყო? — ბურთიან ჰოკეიში; 1981 წელს, ხაბაროვსკში, შვედეთთან; ჰოკეიბენდი; 12 მეტრიდან; დურაკოვი (ნიკოლაი)

(6) ვინ იყო პირველი ქართველი, ვინც ლიგის რაგბში გადავიდა? როდის? რომელი გუნდი შეიქნა ქართული ლიგის რაგბის პირველი მერცხალი? — ხვიჩა კაშია; 1991 წელს; ქუთაისის „ერქვანი"

(7) ჩვენში თავდაპირველად რომელი ხელბურთი შემოვიდა? მეტწილად რომელი სპორტიდან გადავიდნენ მობურთალნი? რა რიცხვითი შეზღუდვა ედო მოიერიშეთა და მცველთა რაოდენობას? — თერთმეტკაცა (11:11); კალათბურთიდან; მოედნის შუა ხაზის გაღმა-გამოღმა თანაგუნდელთა რაოდენობა ხუთზე მეტი არ უნდა ყოფილიყო

(8) რომლებია აფროსნობის ოლიმპიური კლასები? მათგან ქალები და ვაჟები რომლებში ასპარეზობენ ერთად და რომლებში ცალ-ცალკე? — ქალები ცალკე ასპარეზობენ დაფით, 470-ითა და ევროპით; ვაჟები — დაფით, 470-ითა და ფინით; ერთობლივია სოლინგით, მფრინავი ჰოლანდიელით, ვარსკვლავითა და ტორნადოთი შეჯიბრი

(9) ვინ მოიგო ფორმულა-1-ის ჩემპიონატი მკვდარმა? როდის? — ავსტრიელმა იოხენ რინდტმა, 1970 წელს


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ლომბარდი»

თბილისი, ჯიქიას ქუჩა, 8

კომერციული ბანკი Commercial Bank

MB

მინაგობანკი MINAGOBANK

სასტუმრო „აჭარა"
ოფისი № 305
ტელეფონი: 369 096, 369 407

„ბანკი, რომელსაც არ ჰყავს უკმაყოფილო კლიენტი"

# ფირა და მისი ავან-ჩავანი

**ქართული რაგბის მატიანეში ახალი კარი ჩაიწერა — ჩვენი ეროვნული ნაკრები ფირა-ს პირველობაში ჩაება. როგორც ადრეც აღგვინიშნავს, ფირა-ს და მისი ჩემპიონატის რაობა საგანგებო განხილვას მოითხოვს, რადგანაც მსოფლიო რაგბში არსებული მოჩვენებითი ორხელისუფლებიანობის გამო სპორტის გულშემატკივრებს ანდა მუშაკებს ვინლა ჩივის, თვით ქართული სარაგბო თემის ერთი ნაწილიც ვერ გარკვეულა ხეირიანად, თუ რა შეჯიბრებაში ჩავებით. ამიტომ აქ ფირა-ს წარსულსა და აწმყოს დაწვრილებით გავარჩევთ.**

ფირა, ანუ სამოყვარულო რაგბის საერთაშორისო ფედერაცია მას შემდეგლა დაარსდა, რაც 1932 წლიდან ბრიტანეთის ქვეყნებმა საფრანგეთს პროფესიონალობა დააბრალეს და მასთან თამაში შეწყვიტეს. მაშინ გარიყულ ფრანგთა ერთი ნაწილი მართლაც გაპროფესიონალდა და ლიგის რაგბში გადავიდა, ხოლო ვინც მოყვარული დარჩა, მან ევროპის კონტინენტზე მეტოქეებსა და ასპარეზს დაუწყო ძებნა, რაც იმით დასრულდა, რომ 1934 წელს შეიქმნა ფირა, რომელშიც იმთავითვე გაერთიანდნენ გერმანია, ესპანეთი (კა-



ჩამოქვეითებული ბიძია ალბერი

ტალონია), საფრანგეთი, ჰოლანდია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, შვედეთი და ჩეხოსლოვაკია, ანუ ყველა ის ევროპული ქვეყანა, სადაც რაგბი იყო დანერგილი.

მართალია, ახალმა გაერთიანებამ იმთავითვე „საერთაშორისო" დაირქვა, მაგრამ რაგბის მსოფლიო ფორუმად ვერა და ვერ იქცა, რაკილა ინგლისურენოვანი ქვეყნები მას დღემდე ძალლადაც არ აგდებენ. ამათ ხომ თავიანთი, ჯერ კიდევ 1886 წელს დაარსებული საერთაშორისო საბჭო (ირბ) აქვთ, რომელიც ფეხბურთისაგან განსხვავებით მარტო თამაშის წესებსა და კანონებს კი არ ადგენს, არამედ მსოფლიო რაგბს რეალურადაც მართავს მსოფლიო თასის გათამაშების ჩატარებითა და იმით, რომ დღესდღეობით თითქმის ყველა იმ ქვეყანას აერთიანებს, რომლებიც ფირა-ში ირიცხებიან.

ერთი სიტყვით, ქვეყნების უმეტესობა, მათ შორის — საქართველოც, ირბ-შიც შედის და ფირა-შიც. ეს კიდევ რაა: რაგბის ფრანგ მამათა ერთი ნაწილი, მაგალითად მარტენი და ლაპასე, ფირა-საც მართავს და ირბ-ის ხელმძღვანელ ორგანოებშიც ირჯება, ხოლო მოხუცებული ფერასი, მეტსახელად „ბიძია ალბერი", ირბ-ის ალმასკომიდან შარშან ფირა-ს პრეზიდენტობამდე ჩამოაქვეითეს. მოკლედ, მსოფლიო რაგბში გაორება შეიმჩნევა.

ირბ მსოფლიო გაერთიანება კია, მაგრამ მსოფლიო თასის მოწყობის, ბოლოს ქვეყნების ტურნეების ზედამხედველობის, ტელევიზიით რაგბის წარმოჩინების, ფინანსური შემწეობისა და კადრების განსწავლის გარდა სხვა არაფერზე ზრუნავს, რაც ბოგანო სარაგბო ქვეყნებს ვერ აკმაყოფილებთ. რაც უმთავრესია, ირბ შეჯიბრებათა მოწყობის ინიციატივას თავისივე წევრებს უტოვებს, რასაც ხელმოკლენი ვერაფერში იყენებენ. საქართველოს რაგბის კავშირი ამის უცხადესი ნიმუშია: მას შემდეგ, რაც ჩვენი გუნდი ირბ-ის მიერ მოწყობილ მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში დამარცხდა, ოთხი წლით, ანუ მორიგ მსოფლიო თასამდე უქმად დარჩებოდა, ფირა რომ არა.

ფირა, პირიქით, თავისს წევრებზე მეტად ზრუნავს იმისდა მიუხედავად, რომ შეძლებით ირბ-თან ვერ მივა. არა, ფირა ფინანსურად ვერავის ეხმარება, მაგრამ ბარემ სამი ათეული წელია, რაც სისტემატურად მართავს როგორც კაცთა, ასევე ჭაბუკთა პირველობებს. ერთი სიტყვით, ფირა-ს უმთავრესი ღირსება შეჯიბრებათა მოწყობაზე ყურადღების გამახვილებაა.

ცოდვა გამხელილი სჯობს და სწორედ ფირა-ს, მეტადრე კი მასში გაბატონებულ ფრანგთა აქტიურობამ აიძულა ირბ, ყურები გამოექაჩა, თვალები გაეხილა და მსოფლიო თასის მოსაწყობად ემეცადინა, თორემ მსოფლიო რაგბის მონოპოლიურად მართვის უფლება ხელიდან გამოეცლებოდა. ერთი სიტყვით, ირბ-ის გამოფხიზლება-ამოქმედება და გადემოკრატიულება ერთგვარად ფირა-ს დამსახურებაცაა, ანუ ბოგანოთა ბოგანო გაერთიანებას იმდენი უქნია, რომ ბობოლათა ბობოლა გაერთიანება აუყოლიებია რაგბის საკეთილდღეოდ.

ირბ-ის მომავალი მყარი და ნათელია, მაგრამ ვიდრე ყოვლისმომცველ შეჯიბრებებს არ გააცხოველებს და საფეხბურთო ფიფა-ს დონემდე არ მიიყვანს, მანამ ფირა-ს არსებობასაც აზრი ექნება როგორც ბოგანოთათვის, ასევე საფრანგეთისთვის, რომლის რაგბის მამებს ფირა-ს სავარძელთა უმეტესობა დღესაც უკავიათ. რაღა ბევრი გავაგრძელოთ: ფირა-ს ოფისი საფრანგეთის რაგბის ფედერაციაშია და ამ ორ ორგანიზაციას ტელეფონიცა და ფაქსიც საერთო აქვთ.

ფირა ყოველწლიურად მართავს კაცთა პირველობას, რომელიც ფაქტიურად რეგიონული შეჯიბრებაა, რადგანაც მასში მხოლოდ კონტინენტური ევროპისა და მაღრიბის ქვეყნები მონაწილეობენ. ამის მიზეზი ისაა, რომ ეს შეჯიბრება, რომელსაც ერთი ხანობა „ერთა თასი" ერქვა, მიმოსვლით ეწყობა და მონაწილეთა შეძლებაც მეტისმეტად შორს მგზავრობას ვერ სწვდება.

სამაგიეროდ, ჭაბუკთა პირველობაზე, რომელიც ტრადიციულად აღდგომის კვირაში, ტურნირად იმართება, ყველა კონტინენტის მორაგბეები იყრიან თავს, თუმცაკი ბოლოსთაგან მხოლოდ საფრანგეთი, იტალია და არგენტინა ასპარეზობენ. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი სხვებზე მეტადაა გაორებული: ირბ-ის წევრი ხომ არის და არის, მაგრამ ფირა-ში სანახევროდ, ე.წ. მოკავშირე წევრად ირიცხება.

ჭაბუკთა პირველობაზე საქართველომ უკვე იასპარეზა, ამიტომ მისი გაცნობა გაისად იყოს, ჩვენი ბიჭები ლიონს რომ წავლენ სათამაშოდ. რაც შეეხება კაცთა ჩემპიონატს, იგი ხანდახან ორწლიანი ციკლით ტარდებოდა, უფრო ხშირად კი — ერთწლიანით.



მარადი მეტოქეები, რუმინეთი და საფრანგეთი ბუქარესტის სტადიონზე

ჩემპიონატი რამდენიმე ჯგუფად ეწყობა ხოლმე. ჯგუფთა რაოდენობა, უფროს-უმცროსობა და შემადგენლობა წლიდან წლამდე იცვლება — მეტწილად პრაგმატულად, უწესოდ, არასპორტული მოსაზრებებით. სამართლიანად ოდენ უპირველესი ჯგუფი დგება, სხვაგან კი ამოსავალი მონაწილეთა შეძლება, გეოგრაფიული სიახლოვე და პირადი სიმპათიებია. ერთი სიტყვით, ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ გუნ-



ქართული რაგბის დესპანი ზურაბ რეხვიაშვილი

დებმა როგორმე რეგულარულად ითამაშონ, თორემ თუ მეტისმეტად გაოჩნდები, შეიძლება უპარტნიოროდაც დარჩე. ისიც არაა გამორიცხული, რომ რამდენიმე წლით საერთოდ გამოაკლდე შეჯიბრებას და მერელა დაუბრუნდე — თუ რომელ ჯგუფში, ისევ და ისევ შენს უხაზე და სხვათა კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული.

წინა სეზონი ფირა-ს ჩემპიონატში არნახულად ქაოსური გამოდგა. შეიცვალა ხელისუფლება და ახლადაღზევებულებმაც დაიწუნეს წინარე მამათა ჩანაფიქრი, იერარქიის ზედა ორ საფეხურზე ორ-ორი, ტოლძალოვანი თუ არა, ტოლუფლებიანი ჯგუფი მაინც პყოლოდათ. ამიტომ ჩემპიონატი ისე ჩამთავრდა, რომ პირველად ფირა-ს ისტორიაში ჩემპიონი არც გამოვლენილა, მაგრამ თუ ფინალად ისევ და ისევ ფირა-ს ლოცვა-კურთხევით გაგანია ჩემპიონატში გამართულ იტალია — საფრანგეთის არასაჩემპიონატო მატჩს მივიჩნევთ, მაშინ საფრანგეთი გამოგვივა ჩემპიონი.

ფირა-ს ახალმა მამებმა 1993-94 წლებისთვის ჯგუფები ოთხ დონეზე განალაგეს — **A1 A2**-ზე აღაზევეს და წინა სეზონის შედეგების გათვალისწინებით შეაკოწიწეს. სადაო იყო მეხუთე გუნდის ვინაობა და ამ ვაკანსიის გასაყოფად ესპანეთსა და მაროკოს ივნისში, ხმელთაშუა ზღვის თამაშების სარაგბო ტურნირის ფარგლებში უნდა ეთამაშათ.

არ დამთავრებულა ტურნირი **B1** ჯგუფში — იგი ახალ სეზონში გაგრძელდება და სხვა ჯგუფებისგან განსხვავებით, შედეგები ორი წრის შემდეგ შეჯამდება. რაც შეეხებათ საბჭოთაყოფილ რესპუბლიკებს — სსრკ-ის მემკვიდრე რუსეთის გამოკლებით — ისინი იერარქიის ქვედა საფეხურებზე გაამწესეს: ლატვია, ლიტვა და მოლდოვა კიბის ძირში, უკრაინა კი, უთუოდ პოტენციისა და შუა ევროპასთან სიახლოვის გამო, — ერთი საფეხურით მაღლა.

საქართველო, ვითომც არ არსებობსო, თავიდან უადგილოდ დატოვეს. დიდი მარიფათის გამოვლენა დასჭირდა ფირა-ში ჩვენს დესპანს, საქართველოს რაგბის კავშირის გენერალურ მდივანს ზურაბ რეხვიაშვილს, საქართველოს ნაკრები შეჯიბრებაში რომ ჩაერთვევინებინა. ივნისში, ანდორაში გამართულ 52-ე კონგრესზე რეხვიაშვილმა, რომელიც ფირა-ს მსაჯიცაა და მის შეჯიბრებებს კარგა ხანია ემსახურება, ფირა-ს ცამეტიდან ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტის — რუმინელი ვიორელ მორარუს შემწეობით ძლივს დაიყოლია იქ შეკრებილი საზოგადოება, რომ საქართველო ჩაერთოთ იღბლად გუნდნაკლულ **C1** ჯგუფში იმ პირობით, რომ ჩვენები ეწვეოდნენ აზიზ შუაევროპელებს — ლუქსემბურგელებსა და შვეიცარელებს, ხოლო თავზეხელაღებული ლატვია ჩავიდოდა ომით მოცულ საქართველოში, სადაც საბჭოთა ეპოქაში ბევრჯერაა ნამყოფი.

აი, ასე და ამგვარად მოხვდა ჩვენი გუნდი იმ კომპანიაში, რომლიდანაც თავის დაღწევას დროზე უნდა ეცადოს, თუკი სამომავლოდ აღზევება სურს!

**ზაალ ბიბინეიშვილი**

### 1992-93 წლების ჩემპიონატი

**A1 ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4 | 0 | 0 |
| რუსეთი | 3 | 0 | 1 |
| მაროკო | 2 | 0 | 2 |
| გერმანია | 1 | 0 | 3 |
| ბელგია | 0 | 0 | 4 |

იტალია— საფრანგეთი 12:14

**A2 ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 0 | 0 |
| რუმინეთი | 3 | 0 | 1 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 2 |
| ტუნისი | 1 | 0 | 3 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 4 |

რუმინეთი—საფრანგეთი 20:37

**B1 ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| პოლონეთი | 3 | 0 | 1 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 2 |
| შვედეთი | 1 | 0 | 1 |
| ჰოლანდია | 1 | 0 | 2 |
| ანდორა | 1 | 0 | 2 |

**B2 ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორვატია * | 3 | 0 | 0 |
| უნგრეთი * | 2 | 0 | 1 |
| ავსტრია * | 1 | 0 | 2 |
| სლოვენია * | 0 | 0 | 3 |

**C ჯგუფი**

| | | | |
|---|---|---|---|
| შვეიცარია * | 2 | 0 | 0 |
| ბულგარეთი | 1 | 0 | 1 |
| ლუქსემბურგი * | 0 | 0 | 2 |

### 1993-94 წლების ჩემპიონატი

**A1 ჯგუფი**
საფრანგეთი
იტალია
რუსეთი
რუმინეთი
მაროკო ან ესპანეთი

**A2 ჯგუფი**
მაროკო ან ესპანეთი
გერმანია
ტუნისი
ბელგია
პორტუგალია

**B1 ჯგუფი**
პოლონეთი
ჩეხეთი
შვედეთი
ჰოლანდია
ანდორა

**B2 ჯგუფი**
ხორვატია
უნგრეთი
ავსტრია
სლოვენია
უკრაინა *

**C1 ჯგუფი**
შვეიცარია
ლუქსემბურგი
ლატვია *
საქართველო *

**C2 ჯგუფი**
ბულგარეთი
დანია *
ლიტვა *
მოლდოვა *

* წინა ჩემპიონატში არ უასპარეზია

### ფირა-ს წევრები

**ევროპა (31)**

| | |
|---|---|
| ავსტრია | 5 |
| ანდორა | 2 |
| ბელგია | 36 |
| ბოსნია * | |
| ბულგარეთი | 16 |
| გერმანია | 80 |
| დანია | 25 |
| ესპანეთი | 230 |
| ისრაელი | 18 |
| იტალია | 470 |
| იუგოსლავია | 7 |
| ლატვია | |
| ლიტვა | 14 |
| ლუქსემბურგი | 3 |
| მოლდოვა * | |
| ნორვეგია | 4 |
| პოლონეთი | 18 |
| პორტუგალია | 26 |
| რუმინეთი | 96 |
| რუსეთი | 129 |
| საფრანგეთი | 1744 |
| საქართველო | |
| სლოვენია * | |
| უკრაინა | |
| უნგრეთი | 24 |
| ფინეთი * | |
| შვედეთი | 55 |
| შვეიცარია | 25 |
| ჩეხეთი | 18 |
| ხორვატია | 12 |
| ჰოლანდია | 99 |

**აფრიკა (13)**

| | |
|---|---|
| ზაირი * | |
| კენია | |
| მადაგასკარი * | 60 |
| მავრიკეთი * | 3 |
| მაროკო | 12 |
| ნამიბია | 35 |
| ნიგერია * | 15 |
| სენეგალი * | 7 |
| სეიშელები * | 2 |
| სპ. ძვლ. ნაპირი | 34 |
| ტანზანია * | |
| ტუნისი | 32 |
| უგანდა * | |

**ამერიკა (9)**

| | |
|---|---|
| არგენტინა $ | 76 |
| აშშ | 800 |
| ბარბადოსი * | 2 |
| ბრაზილია * | 37 |
| ვენესუელა * | |
| მექსიკა * | 12 |
| პარაგვაი | 8 |
| ურუგვაი | 17 |
| ჩილე | 117 |

**აზია (7)**

| | |
|---|---|
| ინდოეთი * | |
| კორეა | |
| ტაივანი | 60 |
| უზბეკეთი * | 4 |
| ყაზახეთი * | |
| ჩრდ. კორეა * | 15 |
| ჰონკონგი | 8 |

**ზღვისრეთი (3)**

| | |
|---|---|
| სამოა | 120 |
| სოლომონები * | 30 |
| ტაიტი * | 7 |

* არაა ირბ-ის წევრი
ფირა-დან გაირიცხა
$ სანახევრო წევრია
ქვეყნებს მიწერილი აქვთ კლუბთა რაოდენობა

**ჩემპიონები**

(ტურნირის დამთავრების წლის მიხედვით)

„ერთა თასი"
საფრანგეთი 1966, 67, 68, 70, 71, 72, 73
რუმინეთი 1969

ფირა-ს ჩემპიონატი
საფრანგეთი 1974, 76, 78, 79, 80, 82, 84, 85, 87, 89, 90, 92, (93)
რუმინეთი 1975, 77, 81, 83

# XVI რბოლა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

7 ნოემბერი, ავსტრალიის „გრან-პრი". ტრასა გადის ადელაიდის ქუჩებში. წრის სიგრძე 3780 მ
81 წრე (306, 180 კმ)



| | | |
|---|---|---|
| 1992 | ბერჰარდ ბერგერი | „მაკლარენი" |
| | საშუალო სიჩქარე 171,8 კმ/სთ | |
| 1991 | აირტონ სენა | „მაკლარენი" |
| 1990 | ნელსონ პიკე | „ბენეტონი" |
| 1989 | ტიერი ბუტსენი | „უილიამსი" |
| 1988 | ალენ პროსტი | „მაკლარენი" |

ავსტრალიის „დიდი პრიზის" გათამაშება 1985 წლიდან ტარდება. ქალაქ ადელაიდას ქუჩებში რბოლას ბედმა მაჩანჩალობა არგუნა — 16 ეტაპს შორის ის საბოლოოა და ჩემპონის ვინაობა, როგორც წესი, შორეულ კონტინენტზე ჩასვლამდე ირკვევა ხოლმე. და მაინც, რბოლას მაყურებელთა ყურადღება არ აკლია, მიუხედავად იმისა, რომ მათ უკვე დასრულებული ნადიმის ნამცეცობაზე უხდებათ მისვლა.

მხოლოდ ერთხელ, 1986 წელს „დაიბადა" ჩემპიონი ადელაიდის ქუჩებში. საერთო გამარჯვებისთვის ინგლისელ ნაიჯელ მენსელს მესამე ადგილიც ყოფნიდა. მაგრამ ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე ლიდერთა შორის მყოფ მის „უილიამსს" საბურავი გაუსკდა და ბრიტანელი პილოტი ბეწვზე გადარჩა.

ადელაიდის ტრასა ერთ-ერთი ყველაზე ნელია. წრის რეკორდი — 178,87 კმ-სთ ეკუთვნის „ბენეტონის" გერმანელ პილოტს მიხაელ შემახერს. პირველი რბოლა კი 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ფინელმა კეკე როსბერგმა მოიგო. ორ-ორი გამარჯვება აქვთ პროსტსა და ბერგერს.

ისეც მოხდა, რომ ორჯერ — 1989 და 1991 წლებში რბოლა ვერ დასრულდა კოკისპირული წვიმის გამო. ტრასაზე განსაკუთრებით საშიში მდგომარეობა შეიქმნა ორი წლის წინ, როცა წარღვნის გამო ორგანიზატორები სულ რაღაც 25 წუთის შემდეგ იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ გუბეებში სახიფათო სრიალი. გამარჯვებულად ბრაზილიელი სენა გამოაცხადეს და დებულების მიხედვით, ექვსეულში მოხვედრილთ მხოლოდ სანახევრო ქულები აკმარეს.

ზეგინდელ რბოლაში ფავორიტებად ისევ სენა და პროსტი ითვლებიან. ფრანგი პილოტისთვის ეს უკანასკნელი გამოსვლა იქნება, რადგან ხწორედ ადელაიდას შემდეგ ეთხოვება იგი „ფორმულას".

# ინდირა განდის ბედი ვერ ჰქონია

მართალია, ინდოელები ბალახის ჰოკეიში რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონები არიან, მაგრამ ბოლო ორი ათწლეულია, ერთობ დასუსტდნენ და ახლა ძველი დიდების აღსადგენად პროგრამაც კი შეიმუშავეს. ინდური გეგმის ერთი ნაწილია ქვეყნობა, რომელშიც სამონაწილეოდაც ძლიერთ ამა ქვეყნისათა მიიწვევენ.

მაგრამ ერთია განზრახვა, მისი



ხორცშესხმა კი — სულ სხვა. ეს ნათლად დადასტურდა ინდირა განდის სახელობის ტურნირის მაგალითზე, რომელიც იმდენჯერ გადაიდო, რომ ვიწიცობაა შეიტყონ, ჩვენში ბურთაობის ზოგიერთი სახეობის წარმომადგენლებსაც კი შურით აღავსებს.

ინიდირა განდის თასის გათამაშება (არ აგერიოთ ჯავაჰარლალ ნერუს თასში, რომელიც საფეხბურთო შეჯიბრება იყო და რომელში ასპარეზობაც ესოდენ უყვარდა სსრკ-ის ნაკრებს) თავიდან შარშან დეკემბერში უნდა გამართულიყო და ინდოელთა გარდა თასისთვის ავსტრალიას, მალაიზიას, ინგლისს, პოლონეთს, რუსეთსა და საფრანგეთს უნდა ეთამაშათ, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე ქაშმირში რელიგიურ ნიადაგზე დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა — ჰინდუებმა დაიჟინეს, აიოჩას მეჩეთის ადგილზე წინათ ჩვენი ტაძარი ყოფილა: ჰოდა, მეჩეთი უნდა დავანგრიოთ და ტაძარი ავაშენოთო.

გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და ტურნირი იანვრისთვის გადაიდო. ახალი ვადა ხელს აღარ აძლევდა ავსტრალიას — იგი ტურნირს გამოაკლდა, მაგრამ ინდოელებმა იხერხეს და შემცვლელად იაპონია დაიყაბულეს. გარდა ამისა, მუსლიმანთა რბევამ აღაშფოთა უპირატესად ისლამური მალაიზია და მანაც უარი თქვა თამაშზე.

დადგა იანვარი და ტურნირის ბინაზე — ბომბეიში მორიგი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა, ამჯერად — სოციალურ ნიადაგზე. მსხვერპლი 200 დაღუპული გამოვიდა. ინგლისის გუნდი უკვე ბომბეიში იყო, მაგრამ შინაომის შემხედვარე შინ გაბრუნდა, შეჯიბრება კი მარტის მეორე დეკადისთვის გადადეს იმის გამო, რომ მანამდე ბომბეიშივე უნდა გამართულიყო ინდოეთ—ინგლისის მესამე საკრიკეტო ტესტი, ეს მოვლენა კი ჰოკეის უეჭველად დაჩრდილავდა.

მოვიდა მარტიც და თითქოს განგება ინდირა განდის შემოსწყრაო, ზედ შეჯიბრების წინ კალკუტაში ყუმბარები ააფეთქეს. ამდენი ტერორისტული აქტებით შეწუხებულმა ჰოკეის მამებმა იფიქრეს, იქნებ შემოდგომამდე მაინც დაწყნარდეს ქვეყანაო და შეჯიბრების გამართვის ახალ ვადად ოქტომბრის მეორე დეკადა დათქვეს.

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, და საქმეში ახლა ქვეყნელის ძალები ჩაერივნენ. ბომბეის მომცველ მაჰარაშთრას შტატში საშინელი მიწისძვრა მოხდა, რასაც დიდი მსხვერპლიც მოჰყვა, რის გამოც შეჯიბრება გაისად, იანვრისთვის გადაიდო.

თუმცა, რაღა გადაიდო — ამ ზამთარს ხომ ისედაც თასის მორიგი გათამაშება უნდა გამართულიყო!

ვალერი ჯიქია

დღეს ჰიროსიმაში აზიის თასის გათამაშება იწყება, რომელშიც ინდოეთის გარდა კორეა, იაპონია, ბანგლადეში, ყაზახეთი, პაკისტანი, მალაიზია, ჩინეთი და თაილანდი იასპარეზებენ. ინდოეთისათვის სამზადისს არც ამჯერად ჩაუვლია უფათერაკოდ: გუნდს თვალსა და ხელს შუა გამოაკლდნენ ჯუდე ფელიქსი და დხანრაჯ ფილაი, რომლებიც უფროსობის უკითხავად საფრანგეთის კლუბებს შეეკედლნენ და ეროვნულ ნაკრებს უგანეს.



# საქმე ჩაიფარცხა

უცხოეთის რაგბის მოედნებზე ჩხუბსა და სასტიკ თამაშს რა გამოლევს.

ასე მაგალითად, ავსტრალიელ „ვოლაბებს" ფრანგმა მასპინძლებმა უკვე სამი მოთამაშე დაუმტვრიეს. „ვოლაბთა" ზორბა 8 ნომბერი თიმ გევინს ლანგედოკელმა მოთამაშემ ისე დააბიჯა, რომ ლოყაზე 14 ნაკერი დაადეს. ავსტრალიელთა პროტესტის შედეგად ფრანგებმა გამოიძიეს ინციდენტი და დამნაშავე ჟერარ მაჟერეს სამი თვით აუკრძალეს რაგბის თამაში.

მსგავსი რამ მოხდა წინა შაბათს რედრუთში ახალი ზელანდიის „ოლ ბლექსის" სტუმრობისას. სტუმრებმა წაქცეულ ფილ დეგლენვილს რაქის დროს გადაუარეს და ისე ჩააზილეს წალი, რომ საწყალს ქუთუთოს გასაკერად 15 ნაკერი დასჭირდა. ინგლისის რაგბის კავშირმა ამაზე ერთი ამბავი მორთო და „ოლ ბლექსის" საქციელი შეაფასა „სახიფათო თამაშად, რომელიც ერთობ სცილდება ქცევის ალიარებულ ნორმებს". თუმცა, მერე და მერე ინგლისელები აღარ ჩაეძიენ ინციდენტს, დაშავებულის მძვინვარე მამაც მოთაფლეს, ვიდეოჩანაწერის გამოკვლევა სტუმრებს ანდეს, მათ კი საქმე ჩაფარცხეს, რითაც სტუმარ-მასპინძელს შორის სიამტკბილობა დამყარდა.

სამაგიეროდ, სამშაბათს, ტუკუმანში თავი არგენტინელებმაც გამოიჩინეს და სამხრეთაფრიკელებმაც. მუშტი-კრივის გამართვისათვის პირველივე ტაიმში მიაბრძანეს მოედნიდან ორი ზორზოხი ბურჯი — მასპინძელი პედრო მოლინა და სტუმარი ქის ენდრიუზი.

# ავსტრალიელებმა ხეიბრები დაალალატეს

როცა 2000 წლის პარაოლიმპიადის გამართვაც სიდნეის დაეკისრა, ქვეყნისა და შტატის (ახალი სამხრეთი უელსის) ხელისუფლები ამ შეჯიბრების გასამართად 80 მილიონ დოლარს იმეტებდნენ, ახლა კი უცებ გამოაცხადეს, რომ ოდენ 15 მილიონი გამოიყოფაო სიდნეიში ოლიმპიადის მიმწვევი კომიტეტის ფონდებიდანო. როგორც ხეიბართა საერთაშორისო ოლიმპიური ასოციაციის თავკაცმა, დოქტორმა რობერტ სტედვუდმა შენიშნა, სიდნეელები საპყართა მისწრაფებებს არად დაგიდევენო. რაც შეეხებათ თავად ავსტრალიელებს, მათ თავი იმით იმართლეს, ატლანტაშიც ოდენ 15 მილიონია გამოყოფილი პარაოლიმპიადისთვის, ჩვენ კი კერძო წყაროებიდან მეტი ფულის მოზიდვას ვიმედოვნებთო.



# აქეთური, იქითური



თურმე მსოფლიო გოლფის ვარსკვლავებიც იღლებიან. „რაიდერის თასის" ევროპელი ვარსკვლავი, 26 წლის ინგლისელი პიტერ ბეიკერი ისე მოუქანცავს ბელფრის გოლფ-კლუბში გამართულ დიდ მატჩს, რომ შემდეგ კვირაში ბელგიის ღია პირველობის პირველსავე წრეში ნორმაზე 11-ით უარესი შედეგი ჰქონდა. ჰოდა, ბეიკერი, ისე რომ არავისთვის უცნობებია, გაუჩინარდა, რის გამოც 250 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. ესპანელი სევერიანო ბალესტეროსი, რომელსაც ბოლო 15 წელია, ევროპაში ბადალი არა ჰყავდა, ამდენმა გოლფმა ისე მოქანცა, რომ წელს „ვოლვოს" ევროპულ ტურში ერთი შეჯიბრებაც კი ვერ მოუგია. ბალესტეროსი თურმე ძლიერ განიცდის წარუმატებლობას, მაგრამ ასპარეზსაც ვერ ელევა. მისი ცოდვით დამწვარ უელსელ იენ ვუზნემს სევისთვის ურჩევია, ჩემსავით ფსიქოლოგისთვის ხომ არ მიგემართა განსაკურნებლადო. რაც შეეხება ორი კვირის წინ სენთ-ენდრიუსის გოლფ-კლუბში გამართულ „დანჰილის თასს", ანუ მსოფლიოს გუნდურ სამატჩო ჩემპიონატს, იქ ნამდვილი სენსაცია მოხდა, როცა პირველსავე ტურში პარაგვაის სამეულმა მესამე ნომრად განთესილ მასპინძელს — შოტლანდიას მოუგო. საქმე ისაა, რომ პარაგვაიში ერთადერთი კლუბი, სამად-სამი გზა და 20-მდე პროფესიონალი ყოფილა. ამ უკანასკნელთაგან ექვსნი — ფრანკოები ძმები ყოფილან, რომელთაგან ორი — კარლოსი და ანხელი სენთ-ენდრიუსში თამაშობდა. პარაგვაელთა წარმატება იმდენად მოულოდნელი ყოფილა, რომ ცნობილ საინფორმაციო სააგენტოებს ერთი პირობა ურუგვაიში (?) არევიათ. მთელი ტურნირი ყინავდა და ქარი ქროდა, რის გამოც მონაწილეებს რამდენიმე ხელი ჯემპრი სცმიათ.

*

სიდნეელებს გაუარათ 2000 წლის ოლიმპიადის დაუნჯებით მოგვრილმა ეიფორიამ და მათაც გაკვირვებულებმა აღმოაჩინეს, რომ თურმე თამაშების გამართვა ნავარაუდევზე ორჯერ ძვირი დაუჯდებათ, რის გამოც განსხვავების — 800 მილიონი ავსტრალიური დოლარის მოგროვება გადამხდელებს დაეკისრათ. ამან ახალი სამხრეთი უელსის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი ბობ ვოკერი აღაშფოთა და მანაც ხელისუფლებას ბრალად დასდო სამზადისში კერძო სექტორის არასაკმარისად ჩაბმა. ამის პასუხად ორგკომიტეტმა განაცხადა, ქალაქის ინფრასტრუქტურა ისედაც მზადა გვაქვს, ხოლო ჰოუმბუშის ყურის განახლება უოლიმპიადოდაც საჭირო იყო, ამიტომ ამისთვის საჭირო თანხებს თამაშების ხარჯებს ნუ მიაკუთვნებთო.

*

სამაგიეროდ, ტიროლის ცენტრ ინსბრუკში ცოცხალი თავით არ სურთ ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობა. ქალაქის საბჭომ ამ თემას უძღვნა რეფერენდუმი, რომლის მონაწილეთა სამმა მეოთხედმაც არ მოიწონა ქალაქის კანდიდატურის წამოყენება 2002 ან 2006 წლების თამაშების სამასპინძლოდ. ინსბრუკს ორჯერ — 1964 და 1976 წლებში უკვე უმასპინძლია ზამთრის ოლიმპიადისთვის.

*

ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირმა ამოქმედა განაჩენი, რომელიც თავის დროზე ფრანგ მრბოლ ქალს მარიონ კლინიეს კი გამოუტანა, მაგრამ აპელაციის შემდეგ გადადო. ივნისში კლინიეს სისხლში არაბუნებრივად ბევრი კოფეინი აღმოუჩინეს, რაც ქალმა ყავის სიყვარულით ახსნა და სამთვიანი დისკვალიფიკაციის გადავადებასაც მიაღწია, რის შემდეგაც მსოფლიო პირველობაზე ვერცხლის მედალიც მოიგო. ახლა კლინიეს თებერვლამდე უქმობა მოუწევს.

*

ამერიკული ბურთაობის ეროვნული ლიგა (NFL) 1995 წელს 28-დან 30 კლუბამდე უნდა გაფართოვდეს, რის გამოც საქმიანობის, ამ შემთხვევაში გუნდის ყოლის უფლებისათვის, ე.წ. ფრანჩაიზისთვის დიდი ბრძოლა გაჩაღდა სენტ-ლუისს, შარლოტს, ბალტიმორს, მემფისსა და ჯექსონვილს შორის. ერთი ადგილი ჩრდილოეთ კაროლინის ქალაქ შარლოტს მიანიჭეს. ლიგამ ამით 140 მილიონი დოლარი მიითვალა. სამაგიეროდ „კაროლაინა პანთერსი" ქალაქს ყოველწლიურად 319 მილიონ დამატებითს ხეირს შემატებს. მეორე ფრანჩაიზის მფლობელი 30 ნოემბერს გაირკვევა.

აქეთური, იქითური

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით და პარასკეობით
ინდექსი 66441
რაიონებისთვის გაზეთის ფასი სახელშეკრულებოა

რედაქციის მისამართი:
თბილისი 77, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. ტელეფონი: 39 48 29

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში; ხოშარაულის 29

დამფუძნებელი:
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა
„მარდი"

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია

სარედაქციო კოლეგია: გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, ზაალ გიგინეიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ზურაბ მექველია, მამუკა ჩიხლაძე (პასუხისმგებელი მდივანი)